

კონსტიტუციური რეფორმის ალტერნატიული ინიციატივა

A2



გადაფურცლეთ ქართული კინოს ისტორია

A8



თბილისში პირველი საზოგადოებრივი ცენტრი „ქარვასლა" აშენდება

B4

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 27 ოქტომბერი, 2006 წელი. №239 (1391) | ფასი 50 თეთრი

# ევროპა რუსეთის შიშს ძლევს

ნიკა თარაშვილი

*ევროპა ერთიანი უნდა იყოს და მოითხოვოს გაცილებით უფრო მეტი რუსეთისგან, ვიდრე დღეს იღებს - დაახლოებით ასეთი შინაარსის განცხადება გააკეთა ორი დღის წინ ბრიუსელში მყოფმა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილემ მეთიუ ბრაიზამ.*
*ძნელი სათქმელია, ამერიკელი დიპლომატის სიტყვებს გამოეხმაურა თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ გუშინ ევროპარლამენტმა რუსეთისთვის ძალიან მტკივნეული რამდენიმე გადაწყვეტილება მიიღო. რუსეთის ხელისუფლების მკაცრი და, შესაბამისად, დღემდე უჩვეულო კრიტიკა გუშინ ევროპარლამენტარების ერთდროულად რამდენიმე რეზოლუციაში აისახა. მათ შორის სამხრეთ ოსეთის კონფლიქტთან დაკავშირებით მიღებული განცხადება იყო.*



ევროპარლამენტარები, როგორც ჩანს, უკეთესად აცნობიერებენ, რომ რუსეთს ულტიმატუმების ენა უფრო ესმის, ვიდრე დათმობის. ყოველ შემთხვევაში გუშინ სტრასბურგში ევროპელ კანონშემოქმედთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ასეთი დასკვნის საფუძველს აჩენს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ნატო რუსულ საყვედურებს ისმენს

დიმიტრი ავალიანი

*მოსკოვში ვიზიტით მყოფ ნატო-ს გენერალურ მდივანს რუსულმა მხარემ საქართველოსთან ურთიერთობისთვის უსაყვედურა და საქართველოს "აგრესიული ზრახვებიც" შეახსენა. ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, თავის მხრივ, რუსეთის მიერ საქართველოსთვის დაწესებული საქნციების მოხსნას დაუჭირა მხარი.*

**"ის ზომები, რომელიც რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ მიიღო, უნდა გაუქმდეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსკოვმა და თბილისმა ეს კონფლიქტი**

გაგრძელება A3 გვერდზე



# 200 კითხვა ვარსკვლავის მოსაპოვებლად

*200 კითხვაზე, რომელიც საგანგებოდ სასტუმროებისთვის ტურიზმის დეპარტამენტში მზადდება, ყველა იმ სასტუმრომ უნდა გასცეს პასუხი, ვისაც ვარკვლავის მინიჭება ან უკვე მინიჭებული ვარსკვლავის რაოდენობის გადახედვა სურს. კითხვები ინტერნეტში დაიდება. სასტუმროებს კი ორი კონკრეტული პასუხი - "კი" და "არა" ექნებათ შემოსახაზი. მოტყუებას აზრი არა აქვს, რადგან ერთ მშვენიერ დღეს, ისე, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებში ხდება, მას "მისტერ-გესთი" აუცილებლად ეწვევა შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოდან და შეამოწმებს.*




# მეზობლები დემოკრატიისა და განვითარებისათვის

*გუშინ თბილისში, სასტუმრო "თბილისი მარიოტში" ორდღიანი კონფერენცია გაიხსნა. ეს ევრაზიის ფონდის ახალი პროექტის - "სამოქალაქო სექტორის ჩართულობა ინტეგრაციის პროცესში" - პირველი ეტაპია. პროექტს დიდი ბრიტანეთის მთავრობის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო აფინანსებენ.*

ნათია მსხილაძე

კონფერენცია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვალერი ჩეჩელაშვილმა, ბრიტანეთის ელჩმა საქართველოში დონალდ მაკლარენმა, აშშ-ს ელჩმა საქართველოში ჯონ ტეფტმა და ევრაზიის ფონდის რეგიონალურმა ვიცე-პრეზიდენტმა ანდრეა ჰარისმა გახსნეს.

კონფერენციის მიზანი, რეგიონალური თანამშრომლობის ხელშეწყობა და ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, რეგიონული თანამშრომლობის შესაძლო მიმართულებების განსაზღვრა იყო. **"ევროპის სამეზობლო პოლიტიკის გეგმა, როგორც დოკუმენტი, შედგა. აღნიშნული გეგმის მიზეზებზე და საერთოდ მთავრობის გეგმებზე ამასთან მიმართებაში, საზოგადოება კარგად უნდა იქნეს ინფორმირებული. გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი მიძღვნილია რეგიონული თანამშრომლობისადმი, რაც დაგვეხმარება იმაში, რომ რეგიონული ასპექტის სამოქმედო გეგმები უფრო ეფექტურად განვითარდეს. ჩემი აზრით, ეს ძალიან საჭირო და დროულია"**, - აღნიშნა ჩეჩელაშვილმა.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ განაცხადა, ევროკავშირი მზად არის უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქართველოში კონფლიქტების დარეგულირებაში. ვალერი ჩეჩელაშვილმა გაიხსენა ფინეთის (ამჟამინდელი თავმჯდომარე-ქვეყანა) და ავსტრიის (თავმჯდომარე-ქვეყანა 2006 წლის პირველ ნახევარში) მიერ გაკეთებული განცხადებები, ევროკავშირის სახელით, საქართველოში შექმნილ ვითარებასა და კონფლიქტების პრობლემის თაობაზე. **"ამ განცხადებებს თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ევროპა ფორმირდება როგორც მხარე, რომელსაც კონფლიქტების დარეგულირებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია"**, - აღნიშნა ჩეჩელაშვილმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მიღების დღე

*გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს ოპოზიციის მიღების დღე ჰქონდა. მადრიდიდან დაბრუნებულ პარლამენტის სპიკერს სულმოუთქმელად ელოდნენ ოპოზიციური ფრაქციების ლიდერები. ოფიციალური ვერსიით, საუბრების მთავარი თემა საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება, კონფლიქტური რეგიონები და საქართველო-რუსეთს შორის გამწვავებული ურთიერთობები უნდა გამხდარიყო. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ბურჯანაძესთან საუბრისას ვერც ერთი ოპოზიციონერი გვერდს ვერ აუვლიდა მათთვის ისეთ მნიშვნელოვან თემას, როგორიც საპარლამენტო ცხოვრებაში მათი როლისა და ადგილის განსაზღვრაა.*

თამარ ასათიანი

გუშინ, დღის პირველ ნახევარში ნინო ბურჯანაძემ მედიას საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ ამცნო - იგი აპირებდა ოპოზიციური ფრაქციების ლიდერებს ცალ-ცალკე შეხვედროდა, ერთობლივი კონსულტაციები კი მხოლოდ ამ შეხვედრების შემდეგ დაიწყებოდა. ამასთან ერთად, პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, იგი არ ეწინააღმდეგება პარლამენტში უმცირესობის შექმნის იდეას. თუმცა, მისივე განმარტებით, საჭიროა ოპოზიციონერების მოთხოვნას უფრო დეტალურად გაეცნოს.

**"როგორ ჩამოყალიბდება ჩვენი პოზიცია, ამის თქმა წინასწარ არ შემიძლია. თუმცა "მრეწველების" ინიციატივას, საპარლამენტო უმცირესობის დაკანონებასთან დაკავშირებით, პრინციპულად არ ვეწინააღმდეგები. ჩვენ გვაინტერესებს, რას გულისხმობს ოპოზიცია უმცირესობის შექმნაში და როგორ წარმოუდგენია მისი შექმნა პარლამენტში,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# გაშიშვლებული პატიმრები

## ომბუდსმენი პროკურატურას საქმის გამოძიებას სთხოვს

*სოზარ სუბარი რუსთავის N6 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულების კარცერებში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე გამოძიების დაწყებას მოითხოვს.*

სპეციალურად ამ თემასთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე ომბუდსმენმა განაცხადა, რომ 2006 სექტემბერში სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა მონიტორინგი ჩაატარეს კარცერებში და აღმოაჩინეს მსჯავრდებულები, რომლებიც კარცერში მხოლოდ საცვლების ამარა იმყოფებოდნენ.

**"მსჯავრდებულები გენადი წურწუმია, იმედა ბუთხუზი და ბადრი ქეცბაია საკანში საცვლების ამარა იმყოფებოდნენ. პატიმრების ტანსაცმელი დერეფანში იატაკზე ეყარა, კარცერის მორიგის მაგიდის გვერდით"**, - განაცხადა სოზარ სუბარმა.

ადმინისტრაციის მიერ მკაცრად დასჯილმა პატიმარმა გენადი წურწუმიამ სახალხო დამცველის წარმომადგენლებს გიორგი მშვენიერაძეს, ზურაბ კვიციანსა და კობა ჩოფლიანს განუცხადა, რომ იგი კარცერში საცვლების ამარა 16 დღეს იმყოფებოდა, ვინაიდან ტანსაცმელი დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ჩამოართვეს; მოთხოვნის მიუხედავად, მას არ მიეცა პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებები - პირსახოცი, საპონი, კბილის პასტა, კბილის ჯაგრისი, საწერ-კალამი და ფურცლები. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა შეამოწმეს კარცერში მოთავსებულ მსჯავრდებულთა და პატიმართა აღრიცხვის ჟურნალი, რომელშიც გენადი წურწუმია რეგისტრირებული არ იყო. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა კი ვერ წარმოადგინეს ბრძანება გენადი წურწუმიას დისციპლინური წესით დასჯის შესახებ.

მეორე პატიმრის იმედა ბუთხუზის განმარტებით, იგი 14 სექტემბრიდან იმყოფება კარცერში. მასაც ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ჩამოართვეს ტანსაცმელი და, ასევე, მოთხოვნის მიუხედავად, არ მისცეს საწერი კალამი და ფურცლები.

გაგრძელება A4 გვერდზე

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge

საქართველოს გენერალური პროკურატურის ცხელი ხაზის ნომერი 40 52 22

თიბისი-ფოსტა

გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?
გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?
გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?
გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 27/10 | 28/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 18 | 19 |
| ბათუმი | 21 | 24 |
| სოხუმი | 20 | 22 |
| ქუთაისი | 22 | 25 |
| გორი | 16 | 18 |
| ონი | 13 | 17 |
| ზუგდიდი | 22 | 25 |
| ახმეტა | 18 | 19 |
| სამტრედია | 22 | 25 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7435 |
| ევრო | 2.1895 |
| ბირთვანქა სტერლ. | 3.2445 |
| რუბლი | 0.0647 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| განცხადება | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

## გაერო საქართველოს ხელისუფლების საჩივრის მიღების ფაქტს ადასტურებს

გაერო-ს ადამიანთა უფლებების დაცვის უმაღლესი კომისრის სამმართველო რუსეთში საქართველოს მოქალაქეების უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების საჩივრის მიღებას ადასტურებს. ამის შესახებ გაერო-ს უმაღლესი კომისრის სამმართველოს პრესმდივანმა ხოსე-ლუის დიასმა სააგენტო "რია ნოვოსტის" განუცხადა."ჟენევაში საქართველოს წარმომადგენლებმა ადამიანთა უფლებების დაცვის უმაღლესი კომისრის სამმართველოს რუსეთში საქართველოს მოქალაქეების მდგომარეობის შესახებ მონაცემები გადასცეს. უმაღლესი კომისარი ლუიზა არბური უკვე დაუკავშირდა რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს", - განაცხადა დიასმა. მისი თქმით, გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემაში არსებული ყველა კომიტეტი და დამოუკიდებელი ექსპერტები ვითარებას აკვირდებიან.

"თუ რომელიმე ქვეყანა ადამიანათა კონკრეტული ჯგუფის უფლებებს არღვევს, ჩვენს სამმართველოს შეუძლია შეახსენოს ამ ქვეყანას სამართლებრივ ვალდებულებებზე", - განმარტა დიასმა. მანვე აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის გაერო-ს პროგრამა არც სასამართლოა და არც ტრიბუნალი. "ჩვენ ვერ ვაიძულებთ ცალკეულ ქვეყანას შეასრულოს ეს რეკომენდაციები", - განაცხადა დიასმა. მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია ეს საკითხი დააყენოს გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოში, რომელიც გაერო-ს ადამიანთა უფლებების დაცვის უმაღლესი კომისრის სამმართველოსგან დამოუკიდებელი ორგანოა და 47 სახელმწიფოს აერთიანებს. ამასთან, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსეთში საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დარღვევების შესახებ საქართველომ ინფორმაცია მიაწოდა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისს, "რომელიც ყურადღებით სწავლობს წარდგენილ მასალას და გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა მექანიზმს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე სათანადო რეაგირებისთვის".

*ინტერპრესნიუსი*

**ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გთავაზობთ:**

* *ედმუნდ მასკის სამაგისტრო (Muskie) პროგრამას,* რომელიც საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს და პროფესიონალებს საქართველოდან გაიარონ 1 ან 2-წლიანი სამაგისტრო კურსი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

* *ევრაზიის სტუდენტურ გაცვლით პროგრამას (UGRAD),* რომელიც საშუალებას აძლევს პირველი და მეორე კურსის სტუდენტებს ერთი წლის განმავლობაში ისწავლონ აშშ-ის უნივერსიტეტებში.

**ევრაზიის/სამხრეთ აზიის მასწავლებელთა დახელოვნების პროგრამას (TEA),* რომელიც შესაძლებლობას აძლევს საშუალო სკოლის ინგლისური ენის ან საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლებს 6 კვირის განმავლობაში აიმაღლონ კვალიფიკაცია აშშ-ში.

**IREX საქართველოს ოფისი**
**ი. აბაშიძის ქ. N4, ბ-1, თბილისი,**
**საქართველო, 0179**
**ტელ: (995-32) 912608, 291905**
**www.irex.ge**
**ელ-ფოსტა: muskie@irex.ge / ugrad@irex.ge**
**teaprogram@irex.ge**

IREX

**Enhance your education and professional skills by studying in the United States!**

The Government of the United States of America is pleased to announce:

* the Edmund S. Muskie Graduate Fellowship Program (Muskie) for professionals to study at a graduate level in the United States for 1 or 2 years

* the Eurasian Undergraduate Exchange Program (UGRAD) for university students in their 1st-year or 2nd -year, (and 3rd - year if studying in 5-year degree program) to study for one academic year at a US university

* the Eurasia/South Asia Teaching Excellence and Achievement Program (TEA) for secondary level English and Social Studies teachers to complete 6 weeks of professional enrichment activities in the US

All programs are fully funded by the Bureau of Educational and Cultural Affairs, US Department of State. Participants are selected through an open, merit-based process. Applications are now available for the 2007 program year of all three programs. For more information please visit, call, or email IREX:

**IREX Georgia**
**4 Abashidze str, apt 1, Tbilisi, Georgia 0179**
**TEL: (995-32) 912608, 291905**
**www.irex.ge**
**EMAIL: muskie@irex.ge / ugrad@irex.ge**
**teaprogram@irex.ge**

IREX

# კონსტიტუციური რეფორმის ალტერნატიული ინიციატივა

ვერიკო თევზაძე

*პარლამენტარები: გია თორთლაძე, კახა კუკავა, კოკა გუნცაძე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები: ანა დოლიძე, ლაშა ჩხარტიშვილი და პოეტი რატი ამაღლობელი კონსტიტუციური რეფორმების ჯგუფის შექმნის ინიციატივით გამოდიან.*



ჯგუფის ამოცანაა კონსტიტუციური რეფორმის პროექტის მომზადება, რომელიც განსახილველად წარედგინება საქართველოს პარლამენტს ან უშუალოდ ამომრჩეველს, რეფერენდუმის გზით.

რეფორმა მიზნად ისახავს შემდეგი ცვლილებების გატარებას:

1. ხელისუფლების დანაწილების პრინციპის განხორციელებას კონსტიტუციაში;

2. სახელისუფლებო შტოებს შორის გაწონასწორების პრინციპის (check and balance) დაცვას - აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების შეზღუდვას, საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების გაფართოებას, პარლამენტის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლებაზე კონტროლის მექანიზმის გაძლიერებას, სასამართლოს დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტიების განმტკიცებას;

3. ადგილობრივი თვითმმართველობის და ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის რეფორმას;

4. სამართლიანი არჩევნების პრინციპების დადგენას;

**"ბოლო 15 წლის მანძილზე, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოში ვერა და ვერ მოხერხდა სტაბილური და დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება. ჩვენი აზრით, არსებული კრიზისული მდგომარეობის დაძლევა უნდა დაიწყოს კონსტიტუციური რეფორმით და ამ გზით ქვეყანაში სამოქალაქო და პოლიტიკური თანხმობის მიღწევით,"** - ნათქვამია კონსტიტუციური რეფორმების ჯგუფის მიმართვაში ქართული საზოგადოებისადმი.

ჯგუფის წარმომადგენელთა სურვილია, კონსტიტუციის პროექტის მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების წარმომადგენლებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ექსპერტებმა, ყველა დაინტერესებულმა პირმა.

კონსტიტუციური რეფორმების ჯგუფის წევრები გუშინდელ პრესკონფერენციაზე მედიის და საზოგადოების წინაშე მოკლე გზავნილებით წარდგნენ:

ანა დოლიძე, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე:

**"კონსტიტუციური რეფორმების ჯგუფის მიზანია საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრას ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღება. ქვეყანაში დამკვიდრდეს ის კონსტიტუციური წეს-წყობილება, სადაც საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს შორის დემოკრატიული ურთიერთკონტროლი და ურთიერთთანასწორობის მექანიზმი იმოქმედებს."**

კახა კუკავა, პარლამენტარი, კონსერვატიული პარტიის წევრი:

**"დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში მთავარი პრობლემა არის ხელისუფლების არალეგიტიმური ცვლა. ერთადერთ გამოსავლად მივიჩნევთ ახალ კონსტიტუციას, რომლის მიხედვითაც ხელისუფლება იქნება დანაწილებული. ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღება არა ერთი ადამიანის ნება-სურვილის მიხედვით, არამედ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით და პოლიტიკური თანხმობით."**

ლაშა ჩხარტიშვილი, თანასწორობის ინსტიტუტის წარმომადგენელი:

**"საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ის, რომ რეალური თვითმმართველობა არ გაგვაჩნია. ჩვენი აზრით, საწყის ეტაპზევე საზოგადოება ჩართული უნდა იყო საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის მომზადების პროცესში. ყველას ვთავაზობთ, ჩვენს ჯგუფს შემოუერთდეს, რათა ერთად განვსაზღვროთ, როგორი ქვეყნის აშენება გვინდა."**

გია თორთლაძე, პარლამენტარი:

**"დღეს ქვეყანა მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისში იმყოფება. ჯგუფის ჩამოყალიბების მიზანია, ქვეყანა ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოიყვანოს."**

რატი ამაღლობელი, პოეტი:

**"ყველაზე მთავარი ფასეულობა არის ადამიანი და ადამიანების ჰარმონიული თანაცხოვრება სახელმწიფოში. ჩვენი მთავარი მიმართულება არის ჯანსაღი ადამიანი ჯანსაღ სახელმწიფოში. ამისთვის აუცილებელია ინიციატივა, ინიციატივა სწორედ საზოგადოების მხრიდან. ვერტიკალი უნდა შემოტრიალდეს პირიქით. ადამიანი არის უმთავრესი მიზანი, სახელმწიფო კი ინსტრუმენტი და გარანტი ადამიანთა ჰარმონიული თანაცხოვრებისა."**

კოკა გუნცაძე, პარლამენტარი:

**"ჩვენი ალტერნატიული ინიციატივა გულისხმობს იმას, რომ საზოგადოება შეთანხმდეს ხლისუფლებაში ძალაუფლების დანაწილებაზე, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლოს ჩამოყალიბებაზე. კონსტიტუციური რეფორმა მიზნად ისახავს, რომ ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ იქნას დაცული ადამინის სიცოცხლე, ღირსება და პატივი, მისი საკუთრება და თავისუფლება."**

# მიღების დღე

პირველი გვერდიდან

საპარლამენტო უმცირესობის შექმნის იდეის წინ წამოწევა "მრეწველების" ინიციატივაა. მაშინ, როდესაც საპარლამენტო ოპოზიციის რიგებში ერთსულოვნება ნამდვილად არ არის (და ეს ბოიკოტის შეწყვეტის დროს გამოჩნდა), საკმაოდ რთული წარმოსადგენია, როგორ მოახერხებენ ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგებლები, უმცირესობის შექმნის შემთხვევაში, შიდა გავლენების გადანაწილებას. აქედან გამომდინარე, როგორც საპარლამენტო კულუარებში აცხადებენ, "მრეწველებს" უმცირესობის თემის გახმოვანება მხოლოდ იმისთვის დასჭირდათ, რომ, ერთი მხრივ, კვლავ დაენახვებინათ საზოგადოებისათვის, რამდენად არაერთსულოვანია დღეს ოპოზიცია და, მეორე მხრივ, საპარლამენტო უმრავლესობისთვის საკუთარი თავი, როგორც ყველაზე კონსტრუქციული ოპოზიციური ძალა, ისე შეეთავაზებინათ.

თავად საპარლამენტო უმცირესობა, "მრეწველების" განმარტებით, მას შემდეგ შეიქმნება, რაც პარლამენტის რეგლამენტში აღდგება ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, საპარლამენტო არჩევნებში მეორე ადგილზე გასულ პოლიტიკურ პარტიას ან საარჩევნო ბლოკს პარლამენტში უმცირესობის შექმნის უფლება ენიჭება. რადგანაც ბლოკი "მრეწველებიახლები" არ დაშლილა, "მრეწველების" ვარაუდით, მიზნის მიღწევა შესაძლებელია, თუ, რა თქმა უნდა, უმრავლესობა ამ დათმობაზე წავა და უმცირესობის შექმნაზე თანხმობასთან ერთად, ოპოზიციას საკუთარი ვიცე-სპიკერისა და ყველა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ყოლის უფლებას მისცემს.

რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართული შეხვედრების ქრონოლოგიას, პირველად ნინო ბურჯანაძეს "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე შეხვდა.

პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტიდან გამოსულმა დავით გამყრელიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საუბარი ყველა იმ მტკივნეულ საკითხს შეეხო, რომელიც მოსახლეობას აწუხებს: რუსეთის მხრიდან განხორციელებული ეკონომიკური ბლოკადა, რუსეთიდან დეპორტირებული ქართველები, მოსალოდნელი ენერგეტიკული სანქციები, სამხრეთ ოსეთში დაგეგმილი დეფაქტო პრეზიდენტის არჩევნები და ა.შ.

საპარლამენტო უმცირესობის შექმნის საკითხს დავით გამყრელიძე მხოლოდ ამ თემების ჩამოთვლის შემდეგ შეეხო. მისი კომენტარი საკმაოდ მოზომილი და ლაკონური იყო. "ჩვენ უმცირესობის შექმნის წინააღმდეგი არ ვართ," - განაცხადა "მემარჯვენეების" ლიდერმა.

საგულისხმო დეტალი: დავით გამყრელიძის თქმით, "მემარჯვენეები" პარლამენტის თავმჯდომარესთან ურთიერთობის ფორმატზე შეთანხმდნენ: ამიერიდან, როგორც დავით გამყრელიძე აცხადებს, მწვავე საკითხები არა ბიუროს სხდომაზე, არამედ პარლამენტის თავმჯდომარესთან (და არა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერებთან) დამატებითი კონსულტაციის დროს განიხილება. ეს კი ნიშნავს, რომ "მემარჯვენეები" უარს ამბობენ უმრავლესობასთან დიალოგზე, თუმცა თავად ნინო ბურჯანაძესთან თანამშრომლობისთვის მზად არიან.

"მრეწველების" და პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრის შემდეგ ნინო ბურჯანაძის პოზიცია საბოლოოდ ნათელი გახდა. როგორც "მრეწველების" ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ განაცხადა, პარლამენტის თავმჯდომარე დაეთანხმა უმცირესობის შექმნის მრეწველებისეულ მოდელს.

დაბოლოს: როგორც გაირკვა, საპარლამენტო უმრავლესობაში აზრთა სხვადასხვაობაა - თუკი მიხეილ მაჭავარიანი საპარლამენტო უმცირესობის შექმნის წინააღმდეგი არ არის და მიიჩნევს, რომ ამ საკითხის ირგვლივ კონსულტაციები უნდა გაგრძელდეს, ნიკა გვარამია ამ ეტაპზე ასეთ შესაძლებლობას გამორიცხავს. როგორც გუშინ გაირკვა, კონსულტაციები კვლავაც გაგრძელდება და არ არის გამორიცხული, იგი საკმაოდ დრამატულადაც წარიმართოს.

# კოკოითმა ქართული ტელეარხების მაუწყებლობის ჩახშობის განკარგულება გასცა

სამხრეთ ოსეთის თვითალიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა ცხინვალის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ქართული ტელეარხების მაუწყებლობის ჩახშობის განკარგულება გასცა. სარწმუნო წყაროს მონაცემებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე უკვე დაიწყო სპეციალური ანტენების დამონტაჟება, რომლებიც ჩამხშობი მოწყობილობით არის აღჭურვილი. კოკოითის ეს განკარგულება, წყაროს მტკიცებით, უკავშირდება ორგანიზაცია "სამხრეთ ოსეთის ეროვნული ხსნის კავშირის" გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც 12 ნოემბერს ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად, ალტერნატიული არჩევნებიც ჩატარდება. ამასთან, კოკოითმა 25 ოქტომბერს რუს ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობას სურს, "ოს ხალხს საპრეზიდენტო არჩევნებში სამხრეთ ოსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის დიმიტრი სანაკოევის კანდიდატურა შესთავაზოს". მისივე თქმით, მოსალოდნელია სანაკოევის ქართული ტელევიზიებით გამოსვლაც, რათა მან ოსი ხალხი ალტერნატიულ არჩევნებში მონაწილეობაზე დაიყოლიოს. აქედან გამომდინარე, წყარო ამტკიცებს, რომ ქართული ტელარხების მაუწყებლობის ჩახშობის განკარგულება სწორედ 12 ნოემბრის ალტერნატიულ არჩევნებს უკავშირდება.ალტერნატიული არჩევნების ჩატარების შესახებ "სამხრეთ ოსეთის ეროვნული ხსნის კავშირის" ხელმძღვანელმა ვლადიმერ სანაკოევმა 24 ოქტომბერს სოფელ ერედვში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა. **ინტერპრესნიუსი**

## მოკლედ

### ბიუჯეტი 300 მილიონი რუბლით უნდა გაიზარდოს

აფხაზ სეპარტისტთა ე.წ. პრეზიდენტის, სერგეი ბაღაფშის განცხადებით, აფხაზეთში ყველაზე დიდი ყურადღება მედიცინასა და განათლებას უნდა მიექცეს, ამიტომაც სერგეი ბაღაფში 2007 წლის მედიცინისა და განათლების აღირძინების წლად გამოცხადებას აპირებს. აფხაზთა ე.წ. პრეზიდენტის განცხადებით, 2007 წლისთვის "აფხაზეთის სახელმწიფოს ბიუჯეტი" 300 მილიონი რუბლით უნდა გაიზარდოს. "თუკი აფხაზეთის რესპუბლიკის წლევანდელი წლის ბიუჯეტი 901 მილიონს შეადგენს, მომდევნო წლისთვის მის გაზრდას 1,2 მილიარდამდე, ხოლო 2008 წლისთვის კი 1,5 მილიარდ რუბლამდე ვაპირებთ", - ამბობს ბაღაფში და დასძენს, რომ ყოველივე ამას საგადასახადო სისტემის დარეგულირების გზით აპირებს. "საბიუჯეტო, საკურორტო, საკომუნუკაციო სფეროში წესრიგის დამყარება აუცილებლად მოგვცემს რესპუბლიკის ბიუჯეტის გაზრდის საშუალებას", - აცხადებს ბაღაფში. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "რუსეთის სათათბირო ცალკეა, დანარჩენი მსოფლიო - ცალკე"

საქართველოს სტრატეგიის და საერთაშორისო კვლევის ფონდის პრეზიდენტი, პოლიტოლოგი ალექსანდრე რონდელი აცხადებს, რომ დიდი მნიშვნელობა არა აქვს რუსეთის სათათბიროს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას. "რუსეთის სათათბირო ცალკეა, დანარჩენი მსოფლიო - ცალკე. რუსეთის სათათბირო კომუნისტების, შოვინისტების, მემარცხენეების და იმპერიალისტების საკრებულოა, სადაც იმით ერთობიან, რომ ქართულ აქცენტს ბაძავენ" - ამბობს რონდელი და დასძენს, რომ სათათბიროში რაგოზინის ამ თვალსაზრისით გამოსვლა საერთაშორისო ნორმისა და ზრდილობის მხრივ სამარცხვინო იყო. ალექსანდრე რონდელი განმარტავს, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე საუბარი შიდა მოხმარებაზეა გათვლილი. "ეს იმისთვის კეთდება, რომ სეპარატისტებს, რომლებიც რუსეთში ლამობენ შესვლას გული გაუმაგრონ. აჩვენონ ყველას რა საქმეებს აკეთებენ და როგორი პატრიოტები არიან", - აღნიშნავს რონდელი. მისივე თქმით, მართალია, რუსეთი დიდი ქვეყნაა და მისი პარლამენტის გადაწყვეტილებას რაღაც წონა აქვს, მაგრამ საერთაშორისო მნიშვნელობა - არა. "საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ეს ჯერჯერობით მისაღები არ არის" - დასძენს რონდელი. "საქრთველომ საერთაშორისო ნორმები უნდა შეასრულოს და დემოკრატიული სახელმწიფო ააშენოს. საერთაშორისო სამართლის პოზიციებიდან ჩვენ მართლები ვართ", - აცხადებს რონდელი. მისი თქმით, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ის, რასაც რუსეთის პეზიდენტი ბრძანებს, სიმართლე არ არის. "მართალია ისტორიულად ჩვენი სამთავროები რუსეთში ცალ-ცალკე შედიოდნენ, მაგრამ, დღეს საერთაშორისო სამართალი, ჰელსინკის აქტი და გაეროს მიერ აღიარებული საქართველოს საზღვრები არსებობს. თუმცა, თუ ვინმეს ძალა აქვს და ვინმეს დამოუკიდებლობას ძალით აღიარებს ცალკე პრობლემაა. საერთაშორისო თანმამეგობრობა ამას არ მიიღებს",- აცხადებს რონდელი. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ნოღაიდელი ეუთო-ს სხდომას დაესწრება

დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ეუთოს სხდომაზე დასასწრებად ერთდღიანი ვიზიტით ვენაში მიემგზავრება. ვიზიტის ფარგლებში პრემიერ -მინისტრი შეხვდება ეუთოს გენერალურ მდივანს მარკ პერინ დე ბრიშამბოს, შეხვედრის შემდეგ კი ერთობლივი პრესკონფერენცია იგეგმება. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია აგრეთვე ეუთოს მუდმივი საბჭოს წინაშე ზურაბ ნოღაიდელის სიტყვით გამოსვლა. ნოღაიდელი ვენის დიპლომატიურ აკადემიას ეწვევა და აუდიტორიასაც მიმართავს. დიპლომატიური აკადემიის დიდ დარბაზში გაიმართება ქართული ღვინის დეგუსტაცია. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "ტაქტიკური უკან დახევა"

ფრაქცია დემოკრატიული ფრონტის ერთ-ერთი ლიდერი დავით ზურაბიშვილი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მიერ გაკეთებულ განცხადებას ტაქტიკურ უკან დახევას უწოდებს. დავით ზურაბიშვილი აცხადებს, რომ პუტინის გამოთქმული მოსაზრებების მიუხედავად რუსეთი საგარეო პოლიტიკის კურსს არ შეიცვლის. "პუტინის გამოსვლა მხოლოდ ერთ რამეს ცხადყოფს. აშშ-ს მიერ რუსეთზე განხორციელებული ზეწოლის შედეგად პუტინმა, ასე ვთქვათ, პირი მოწმინდა საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ აგრესიულ პოლიტიკას. ეს შეიძლება შეფესდეს, როგორც ტაქტიკური უკან დახევა, რომელსაც რეალურად არავითარი შედეგი არ მოჰყვება. საქართველოს მიმართ განხორციელებული მიზანმიმართული აგრესია რეალურად კვლავ გაგრძელდება, თუმცა ალბათ უფრო შეფარვით, ვიდრე ეს ბოლო პერიოდში ხდებოდა. რეალურად ქართულ-რუსულ ურთიერთობებში არაფერი შეიცვლება," - აღნიშნა დავით ზურაბიშვილმა.**ჯი-ეიჩ-ენი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# ევროპა რუსეთის შიშს ძლევს

პირველი გვერდიდან

გუშინ ევროპარლამენტში ლაჰტის არაფორმალური სამიტის განხილვამ მოსალოდნელზე მეტი ხმაური გამოიწვია. ევროპარლამენტის თავმჯდომარის მიერ ჯერ კიდევ სამიტის წინ გაკეთებულმა განცხადებამ, რომ ევროპა **"არ გაცვლის ადამიანის უფლებებს ენერგორესურსებზე",** თავიდანვე გააჩინა ეჭვი ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანოსა და აღმასრულებელ ორგანოს - საბჭოს შორის რუსეთის მიმართ მიდგომების სხვადასხვაობაზე.

სხვათა შორის, ევროდეპუტატთა გუშინდელი განცხადებები მოულოდნელად მკვეთრი აღმოჩნდა ევროკავშირის მმართველი ორგანოსთვისაც. პრემიერ-მინისტრმა მატი ვანჰანენმა (ევროკავშირს ამჟამად სწორედ ფინეთი თავმჯდომარეობს) სასწრაფოდ მოუწოდა პარლამენტარებს, რომ არ ღირს ასე შორს "შეტოპვა". **"ჩვენ დაინტერესებულნი ვართ რუსეთთან თანამშრომლობით და არ უნდა ვეცადოთ რუსეთის, როგორც საშინელი დიქტატურული ქვეყნის კარიკატურის შექმნას,"** - აღნიშნა მან.

საქმე ისაა, რომ რუსეთთან ურთიერთობებში "გაუბედავი" პოზიცია ევროკავშირში უკვე რამდენიმე წელია დომინანტური გახდა. ბუნებრივია, ენერგეტიკულ "მძევლობაში" მყოფი ევროპული ქვეყნები კრემლის გაღიზიანებას ერიდებიან და, უნდა ითქვას, რომ ბოლო დრომდე ამას საკმაოდ ულაზათოდ აკეთებენ, რითიც გაღიზიანებას უკვე საკუთარ და სხვა ცივილიზებულ ქვეყნებშიც იწვევენ.

თუმცა, გუშინ ევროპარლამენტმა ამ სიტუაციიდან თავდასაღწევად პირველი ნაბიჯი გადადგა. შეულამაზებელი კრიტიკა რუსეთში ოპოზიციის დევნის; დამოუკიდებელი ჟურნალისტების დაშინების, ძალადობისა და მკვლელობების; მეზობლებთან გაუარესებული ურთიერთობების; სეპარატისტთა მხარდაჭერის და ა.შ. მიმართ ევროპარლამენტმა ერთბაშად სამი რეზოლუციით გამოხატა. მათ შორის ერთი ევროდეპუტატებმა სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით მიიღეს.

ამ უკანასკნელში ნათქვამია, რომ ევროპარლამენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს სრულ მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისათვის და მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლებას, ბოლომდე სცეს პატივი ამ ქვეყნის სუვერენიტეტს, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ევროპარლამენტარები სასტიკად გმობენ საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში არსებულ მოძრაობებს ცალმხრივი დამოუკიდებლობისკენ. პარლამენტი მოუწოდებს რუსეთის მთავრობას, უარი თქვას ამ მოძრაობების მხარდაჭერაზე და ამის ნაცვლად დაეხმაროს თავის მეზობლად არსებული კონფლიქტების მრავალმხრივი მოგვარების გზების მოძებნაში.

პარლამენტი გმობს სამხრეთ ოსეთის მიერ 12 ნოემბერს რეფერენდუმის ჩატარების განზრახვას და შეახსენებს მხარეებს, რომ 1992 წელს ჩატარებული ასეთივე რეფერენდუმიც არავის უცვნია.

პარლამენტი ხაზს უსვამს, რომ ნეიტრალური, ეფექტური და სამართლიანი სამშვიდობო ოპერაციები საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარებისთვის აუცილებლობას წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით, პარლამენტი დიდი ინტერესით ელოდება ახალ წინადადებებს არსებულ სამმხრივ სამშვიდობო ძალებზე, რომელიც განლაგებულია კონფლიქტის ზონაში.

პარლამენტი აღნიშნავს, რომ ახალი ძალა უნდა შეიცავდეს პოლიციურ ელემენტსაც დანაშაულისა და განუკითხაობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ევროპარლამენტარები ხაზს უსვამენ, რომ ევროკავშირი, თუ საჭირო შეიქმნა, მომზადებული უნდა იყოს, ახალ სამშვიდობო ძალებში თავისი ქვედანაყოფებიც ჩართოს.

ევროპარლამენტარები მოუწოდებენ რუსეთს, გააუქმოს უკანასკნელ ხანებში დაწესებული ყველა სანქცია საქართველოსა და საკუთარ ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობის მიმართ. პარლამენტი ასევე მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლებას, მოხსნას დაუსაბუთებელი აკრძალვები პროდუქციის იმპორტზე საქართველოდან და მოლდოვადან.

პარლამენტი მოუწოდებს ევროკავშირის საბჭოსა და ევროკომისიას, ევროკავშირი-რუსეთის მომავალი სამიტების დღის წესრიგში შეიტანონ გაყინული კონფლიქტებისა და მათი დარეგულირების საკითხები.

დაბოლოს: ევროპარლამენტი მიესალმება საქართველოსთან ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაზე მუშაობის დასრულებას და მის ხელმოწერას. ევროპარლამენტარებს იმედი აქვთ, რომ მისი იმპლემენტაცია ამ ქვეყანაში პოლიტიკურ და რეფორმების პროცესს კიდევ უფრო წაახალისებს. პარლამენტი ასევე მიესალმება ხავიერ სოლანას განცხადებებს იმის შესახებ, რომ ევროკავშირი საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარებაში უფრო აქტიურ ჩართვას გეგმავს და მოუწოდებს საბჭოს, სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი აღჭურვოს ყველა საჭირო საშუალებითა და რესურსით, რომ ეს ქმედება უფრო ეფექტური და შესამჩნევი გახდეს.

საგულისხმოა, რომ ევროპარლამენტის სხდომამდე ერთი დღით ადრე ბრიუსელში მყოფი აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე მეთიუ ბრაიზა ცდილობდა, დაერწმუნებინა ევროპელები, რომ რუსეთიდან ენერგორესურსების შეწყვეტის შიში არ უნდა ჰქონოდათ, რადგანაც **"ისევე, როგორც ევროპა გრძნობს თავს დამოკიდებულად რუსეთიდან მოწოდებულ ბუნებრივ აირზე, ასევე რუსეთიც დამოკიდებულია აქედან მიღებულ შემოსავლებზე".** მოკლედ, ამერიკელი დიპლომატის განცხადებებში აშკარა იყო "ენერგოდამოკიდებულების" წინააღმდეგ ამბოხისკენ მოწოდებები, მით უმეტეს, რომ ევროპას საჭირო ენერგიის მიღება სხვა გზებითაც (თუნდაც ცენტრალური აზიის, კასპიის აუზის ან სულაც ირანის საბადოებიდან) შეუძლია, - დასძენდა ბრაიზა.

ჯერჯერობით კრემლი არ გამოხმაურებია გუშინ სტრასბურგში მიღებულ გადაწყვეტილებებს. მაშინ, როცა რუსული საინფორმაციო საშუალებები ერთგვარი ცინიზმით აღნიშნავდნენ, რომ ევროპარლამენტის რეზოლუციას სავალდებულო ძალა არ აქვს. თუმცა, აშკარაა, რომ ეს გადაწყვეტილებები გარკვეულ გავლენას მაინც იქონიებს.

# ნატო რუსულ საყვედურებს ისმენს

პირველი გვერდიდან

**ესკალაციის გარეშე, მშვიდობიანი მიდგომის საფუძველზე მოაგვარონ,"** - განაცხადა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმირ პუტინთან შეხვედრის შემდეგ.

პუტინმა და სხეფერმა რუსეთისა და ნატო-ს ურთიერთქმედების მაღალი ხარისხი დააფიქსირეს. **"თანამშრომლობა, ჩვენი შეფასებებით, წარმატებით ვითარდება. ჩვენ ვთანამშრომლობთ საერთაშორისო თანამეგობრობისათვის მნიშვნელოვან სფეროებში,"** - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა.

თუ სხეფერის პუტინთან შეხვედრის შემდეგ მხარეები საქართველოს საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ სიტყვაძუნწნი იყვნენ, სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერთან ლუბოვ სლისკასთან შეხვედრაზე იაპ დე ჰოოპ სხეფერს საქართველოსთან დაკავშირებით მკაცრი, თუმცა ბუნდოვანი ულტიმატუმის მოსმენა მოუხდა. კერძოდ, სლისკამ ნატო-ს გენერალური მდივანი გააფრთხილა, რომ სახელმწიფო სათათბიროში შეიძლება გარკვეული სირთულეები გაჩნდეს ძალთა სტატუსის შესახებ ნატო-სთან დადებული შეთანხმების რატიფიცირებისას. **"ეს დაკავშირებულია საქართველოში ბოლო დროს მომხდარ მოვლენებთან, რომლებმაც არაჯანსაღი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია,"** - განუცხადა ჟურნალისტებს ლუბოვ სლისკამ.

**"აუცილებელია, ჩვენმა პარტნიორებმა ნატო-ში შეიგნონ, რომ საქართველოსთან ინტენსიური დიალოგის დაწყებასთან დაკავშირებული ბოლო მოვლენების გამო, ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის რატიფიცირება შესაძლოა გაგვიჭირდეს,"** - განაცხადა ვიცე-სპიკერმა. მან აღნიშნა, რომ "მომავალში ასეთი სიტუაციების თავიდან აცილება" რუსეთისა და ალიანსის ინტერესებში შედის.

გუშინვე საქართველოს ნატო-სთან ურთიერთობის საკითხზე ვრცელი კომენტარი გააკეთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრ გრუშკომ. მისი განცხადებით, რუსეთის უახლოესი მეზობლების ნატო-ში მიღება **"რუსეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ინტერესებს მნიშვნელოვნად შეეხება"** და უარყოფითად აისახება სიტუაციაზე **"პრობლემურ რეგიონებში".**

გამოცდილება მოწმობს, რომ ქვეყნები ალიანსში გაწევრიანებისას ცდილობენ, საკუთარი პრობლემები გადაწყვიტონ მათი რუსეთ-ნატო-ს ურთიერთობის კონტექსტში ჩართვის გზით. **"საქართველოს შემთხვევაში ამ შეშფოთებამ დამატებითი მტკიცებულება მიიღო. ნატო-ს ნაბიჯები თბილისისკენ, საქართველოს ხელისუფლების მიერ აღიქმება, როგორც სტიმული რუსეთის მიმართ კონფრონტაციული ხაზის გატარებისთვის,"** - განაცხადა გრუშკომ და საქართველოს **"პროვოკაციული ანტირუსული ქმედებები"** (რომელშიც, როგორც ჩანს, რუსი მზვერავების დაპატიმრება იგულისხმება), საქართველოს ნატო-სთან ინტენსიურ დიალოგზე გადასვლას უშუალოდ დაუკავშირა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ საერთაშორისო თანამეგობრობას, **"წამახალისებელი ქმედებების"** ნაცვლად, **"კონფლიქტების ძალისმიერი მოგვარებისკენ საქართველოს სწრაფვის პრინციპული შეფასება"** მოსთხოვა.

ნატო-ს პოლიტიკური ტრანსფორმაციის გამო რუსეთის სამხედრო პოლიტიკაში კორექტივების შეტანა აუცილებელი გახდება.

ამის შესახებ რუსეთის ვიცე-პრემიერმა, თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა ნატო-ს გენერალურ მდივანთან შეხვედრაზე განაცხადა.

**"ჩვენ გვესმის, რომ საფრთხეები იცვლება და ის, რისთვისაც ნატო შეიქმნა - საბჭოთა კავშირი, უკვე არ არსებობს. საფრთხეები ძირითადად ევროპის გარეთ არის,"** - განაცხადა ივანოვმა.

**"ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არჩევანი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში პრობლემების სამხედრო გზით გადაჭრაზე გააკეთა,"** - განაცხადა ივანოვმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

მისი თქმით, პრობლემა არსებობს არა საქართველოსა და რუსეთს შორის, **"არამედ თბილისსა და მის ორ ყოფილ ავტონომიას შორის".**

იაპ დე ჰოოპ სხეფერმა მოსკოვში ყოფნისას განაცხადა, რომ ნოემბერში რიგაში დაგეგმილ ნატო-ს სამიტზე ალიანსში არც ერთი ქვეყნის მოწვევა არ მოხდება. **"ჩვენ გვინდა სიგნალი გავუგზავნოთ ბალკანეთის ქვეყნებს, მაგრამ არანაირი მოწვევა სამიტზე არ გაჟღერდება. შესაძლოა, მოწვევა მოგვიანებით მოხდეს, როდესაც ეს ქვეყნები საკმარისად მომზადებულები იქნებიან,"** - განაცხადა გენერალურმა მდივანმა.

# მეზობლები დემოკრატიისა და განვითარებისათვის

პირველი გვერდიდან

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის განცხადებით, რეგიონული თანამშრომლობის წარმატებაზე საუბარი ზედმეტია, თუ მოწესრიგებული არ იქნება ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებს შორის. ამ კონტექსტში მან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები განიხილა და აღნიშნა, რომ საქართველო რუსეთთან დიალოგის გასაგრძელებლად კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს. ჩეჩელაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ პირველ ნოემბერს, მოსკოვში დაგეგმილი შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრებს ბეჟუაშვილსა და ლავროვს შორის, ამ დიალოგის განახლების კონკრეტულ გზებს გამოავლენს.



**"სამოქმედო გეგმაში, კონფლიქტების თვალსაზრისით სიახლე ის არის, რომ ევროპა უფრო და უფრო მკაფიოდ ყალიბდება, როგორც სერიოზული მოთამაშე კონფლიქტების დარეგულირების პროცესში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან რუსეთის დომინირებული და მონოპოლური როლი კონფლიქტების დარეგულირებაში, სამწუხაროდ ხელს არ უწყობს პრობლემების მოგვარებას"**, - აცხადებს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე.

ვალერი ჩეჩელაშვილის განცხადებით, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების აქტიური ჩართვა კონფლიქტების დარეგულირებაში, ხელს შეუწყობს სამშვიდობო პროცესის შემდგომ განვითარებას. **"ევროკავშირი დათანხმდა იმას, რომ საქართველოსა და რუსეთის საკითხი მუდმივი თემა იქნება ევროკავშირსა და რუსეთის ფედერაციას შორის მოლაპარაკებების დროს,"** - ამბობს ჩეჩელაშვილი.

ბრიტანეთის ელჩის დონალდ მაკლარენის შეფასებით, ევროკავშირის სამხრეთ კავკასიას განიხილავს, როგორც მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ სტრატეგიულ რეგიონს, რომელიც ევროპას ენერგოუზრუნველყოფის ალტერნატიული გზების მოძებნაში დაეხმარება.

**"ევროპის სამეზობლო პოლიტიკა მნიშვნელოვანი რამ არის, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ საქართველოში კანონის უზენაესობა გამყარდეს. ასევე, ჩამოყალიბებული იყოს თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში და სხვადასხვა მიმართულებებით"**, - განუცხადა ამერიკის ელჩმა ჯონ ტეფტმა "24 საათს".

# დიალოგი რუსეთთანაც და ოპოზიციასთანაც

გიორგი ასანიშვილი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ზოგიერთ აქტუალურ საშინაო და საგარეო საკითხზე აკეთებს კომენტარს. პარლამენტის სპიკერის თქმით, იგი ყოველთვის მზად არის, ოპოზიციის წარმომადგენლებთან კონსულტაციები გამართოს და პოლიტიკურ ოპონენტებთან ყველა პრობლემატური თემა განიხილოს.

ოპოზიციის ერთ-ერთი მოთხოვნა რუსეთ-საქართველოს გართულებულ ურთიერთობებზე მთავრობის პოზიციისა და სტრატეგიის გარკვევაა. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ვიდრე ოპოზიცია ამ საკითხს წამოჭრიდა, საპარლამენტო უმრავლესობის შიგნით ჩამოყალიბდა ჯგუფი, რომელიც მთავრობასთან აქტიურ კონსულტაციებს მართავდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის - ეკონომიკური საფრთხეების გათვალისწინების თვალსაზრისით.

**"ეს ჯგუფი ინტენსიურად მუშაობს და წინაწარი მასალებიც გააჩნია,"** - აღნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე.

მისივე თქმით, პარლამენტის ბიუროს ორშაბათის სხდომაზე ნავარაუდევია პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის მოწვევა და მასთან ერთად ყველა პრობლემატური საკითხის განხილვა.

ნინო ბურჯანაძე შეფასებას აძლევს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის გადაწყვეტილებას, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართული მაუწყებლობა აიკრძალოს.

**"კოკოითსა და სეპარატისტული ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს, როგორც ჩანს, აშინებთ ის სიმართლე, რომელიც საქართველოს ტელე და რადიომაუწყებლობიდან გაისმის. ოსმა ხალხმა თავად უნდა გადაწყვიტოს, ვინ ამბობს სიმართლეს და ვინ იტყუება. კოკოითს ეშინია არა იარაღის, არამედ სიტყვის და ალბათ, სწორიც არის, რომ ეშინია,"** - აცხადებს საქართველოს პარლამენტის სპიკერი.

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მიერ საქართველოს შესახებ ოთხშაბათს გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით კი ნინო ბურჯანაძე ასეთ კომენტარს აკეთებს: **"კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ რუსეთთან დიალოგი აუცილებელია, რადგან ვლადიმირ პუტინს საქართველოს ისტორიული წარსულის თაობაზე არაადეკვატური და დამახინჯებული ინფორმაცია აქვს. როგორც ჩანს, იგი იმ მოვლენების საქმის კურსში არ იყო, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეების მიმართ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ჰქონდა ადგილი. დიდი ნათელმხილველობა არ არის საჭირო იმის გასაგებად, საინფორმაციო საშუალებებით საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ომისა და აგრესიის შემდეგ, ყოველივე ეს რა სახეს მიიღებს".**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ პუტინის გამოსვლაში ვერც ერთი კონსტრუქციული წინადადება ვერ მოისმინა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოგვარდეს რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული პრობლემები. პარლამენტის სპიკერი იმედოვნებს, რომ ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების, აგრეთვე სხვა რანგის ხელმძღვანელების შეხვედრების შემდეგ, პრეზიდენტების შეხვედრაც გაიმართება.

**"დაძაბული ურთიერთობების ცივილიზებულ ჩარჩოებში გადაყვანა შესაძლებელია, თუ მოსკოვს ამის პოლიტიკური ნება აღმოაჩნდება,"** - დასძენს ნინო ბურჯანაძე.

# შეკითხვები საქართველოს პრეზიდენტს

კობა დავითაშვილი საქართველოს პარლამენტის წევრი აღარ არის, მაგრამ პრესკონფერენციებს "ინერციით" კვლავ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მართავს. ასე იყო გუშინაც: ყოფილმა დეპუტატმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შეკითხვებით საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" ოთახიდან მიმართა.

კობა დავითაშვილი პრეზიდენტის მიერ ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებების ზოგიერთი ასპექტით ინტერესდება.

**"თავის ოფიციალურ, საჯარო გამოსვლებში მიხეილ სააკაშვილს არაერთხელ განუცხადებია, რომ შემდეგი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდება, ანუ აფხაზეთშიც და სამაჩაბლოშიც. ეს დაპირება კვლავ ძალაშია თუ არა?"** - კითხულობს კონსერვატიული პარტიის ლიდერი და იქვე შენიშნავს, რომ ასეთი გეგმის არსებობის შემთხვევაში, მზად არის, საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარი დაუჭიროს.

მისივე თქმით, ბოლო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტსა და თავდაცვის მინისტრს შორის აზრთა სხვადასხვაობა დაფიქსირდა იმასთან დაკავშირებით, 1 იანვარს შევხვდებით თუ არა ცხინვალში. ექს-პარლამენტარს აინტერესებს, ეს დაპირებაც ძალაში რჩება თუ არა.

**"მოსახლეობამ ხელისუფლებას ბევრი დაპირების არშესრულება იმიტომ აპატია, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ყველაფერს გადაფარავდა. მართლაც, თუ მომავალი არჩევნები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდება, ძველი პრეტენზიები დავიწყებას მიეცემა,"** - ერთიანი საქართველოს ხილვის შემთხვევაში, ხელისუფლებისთვის "ცოდვების ჩამოწერის" პირობას იძლევა კობა დავითაშვილი.

*24 საათი*

---

**26 ოქტომბერს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა ცნობა, თითქოს საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთზე 100-მდე ქართველი იმყოფება, რომლებიც საზღვრის გადმოკვეთას ცდილობენ, რაშიც გარკვეული პრობლემები ექმნებათ.**

**სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახური უფლებამოსილია განაცხადოს, რომ სასაზღვრო პოლიციისათვის მსგავსი თხოვნით ბოლო პერიოდში არავის მოუმართავს და უწყებას აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაცია არ გააჩნია. მეტიც, დაღესტნის მონაკვეთზე არ არსებობს არცერთი საკონტროლო-გამტარი პუნქტი. ფაქტობრივად, ხსენებული მიმართულებით თოვლის საფარის გამო გადაადგილებაც კი შეუძლებელია. მსგავსი თხოვნით არ მიუმართავთ არც საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე არსებულ საკონტროლო-გამტარ პუნქტზე "ცოდნა".**

**სასაზღვრო პოლიცია მზად არის დახმარება გაუწიოს ყველა იმ მოქალაქეს, რომელსაც ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე პრობლემები შეექმნა.**

**სასაზღვრო პოლიციის**
**პრესსამსახური**

---

**მიმდინარე წლის 19 ოქტომბრიდან, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, რუსეთის მოქალაქეებს საქართველოს ვიზების აღება შეუძლიათ საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ შემდეგ სასაზღვრო-გამტარ პუნქტებში:**

- **ქ. თბილისის აეროპორტი;**
- **ქ. ბათუმის აეროპორტი;**
- **სტეფანწმინდა-ზემო ლარსი (დროებით ჩაკეტილია რუსული მხარის მიერ);**
- **ქ. ფოთის პორტი;**
- **ქ. ბათუმის პორტი;**
- **ქ. ქუთაისის აეროპორტი;**
- **სადახლო I - საავტომობილო (საქართველო-სომხეთის საზღვარი);**
- **წითელი ხიდი (საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი);**
- **სარფი (საქართველო-თურქეთის საზღვარი);**
- **ვალე (საქართველო-თურქეთის საზღვარი).**

**შეგახსენებთ, რომ მანამდე რუსეთის მოქალაქეებს საქართველოს ვიზების აღება შეეძლოთ მხოლოდ საქართველოს აეროპორტებში, პორტებში და საკონტროლო-გამტარ პუნქტზე "სტეფანწმინდა-ზემო ლარსი".**

**აღნიშნული ცვლილება ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე იქნა მიღებული.**

**სასაზღვრო პოლიციის**
**პრესსამსახური**

## ირაკლი ბათიაშვილს საპატიმრო ვადა კიდევ ერთხელ გაუგრძელეს

*"მთელი ცხოვრების მანძილზე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან დაწყებული, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ვიბრძოდი, ამ ხელისუფლებამ კი სამშობლოს ღალატში დამდო ბრალი, რაც მათი უზარმაზარი სირცხვილია. ჩემი პატიმრობა საქართველოს ისტორიაში შავ ლაქად დარჩება, ბრალმდებლები კი თავად აღმოჩნდებიან საბრალდებო სკამზე," - ასეთი განცხადება გააკეთა ირაკლი ბათიაშვილმა საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე.*

გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ირაკლი ბათიაშვილს წინასწარი პატიმრობის ვადა კიდევ ერთი თვით გაუხანგრძლივა. პროკურატურამ სასამართლოს უკვე მეორედ მიმართა სამშობლოს ღალატსა და ემზარ კვიციანის მიერ დაგეგმილი ამბოხების ინტელექტუალურ მხარდაჭერაში ბრალდებულისთვის ვადის გახანგრძლივების მოთხოვნით. ირაკლი ბათიაშვილი წინასწარ პატიმრობაში ახლა უკვე ნოემბრამდე დარჩება, რის შემდეგაც საქმე არსებითი განხილვისთვის სასამართლოს გადაეცემა.

ირაკლი ბათიაშვილის ადვოკატის იოსებ ბარათაშვილის თქმით, სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება "უსაფუძვლო და უსამართლოა".

**"ირაკლი ბათიაშვილისთვის წინასწარი პატიმრობის გაგრძელების ფაქტობრივი საფუძველი და ფორმალური გარემოებები სასამართლო პროცესზე ვერც გამომძიებელმა და ვერც პროკურორმა ვერ წარმოადგინეს",** - განაცხადა მან.

ადვოკატი ბრალდებულის პირად თავდებში გათავისუფლებას ითხოვდა. ირაკლი ბათიაშვილს მოკრივე გიორგი კანდელაკი და აკადემიკოსი გიორგი ბათიაშვილი, წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების სანაცვლოდ, პირად თავდებში უდგებოდნენ.

თუმცა, ამ შუამდგომლობას პროკურორი არ დაეთანხმა. ბრალდების მხარის განმარტებით, წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელება იმიტომაა საჭირო, რომ დასაკითხები არიან მოწმეები და გამოსაკვლევია მტკიცებულებები.

პოლიტიკური მოძრაობა "წინ საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ბათიაშვილი 2006 წლის 29 ივლისს დააკავეს. მას კოდორის ხეობის მეამბოხეთათვის ინტელექტუალურ მხარდაჭერსა და დანაშაულის დაფარვაში ედება ბრალი.

*24 საათი*

## გაშიშვლებული პატიმრები

პირველი გვერდიდან

ბადრი ქეცბაიას თქმით, ის კარცერში 11 სექტემბრიდან იმყოფება. მასაც მიღებისას ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ჩამოართვეს ტანსაცმელი და დატოვეს საცვლების ამარა.

პატიმრებმა განაცხადეს, რომ ღამის საათებში სციოდათ. კარცერების მონიტორინგის შედეგად, აღმოჩნდა, რომ არც ერთ მათგანში არ იყო ლეიბი, თეთრეული და საბანი, რის გამოც, საცვლების ამარა მყოფ პატიმრებს პირდაპირ ხის ნარებზე ეძინათ.

ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლების განცხადებით, პატიმრებმა თავად თქვეს უარი ტანსაცმელის ჩაცმაზე, თუმცა პატიმრებმა ეს კატეგორიულად უარყვეს.

განმეორებითი მონიტორინგის დროს პატიმრებს უკვე ეცვათ ტანსაცმელი. თუმცა, განაცხადეს, რომ ადმინისტრაციამ ტანსაცმელი სახალხო დამცველის რწმუნებულების მისვლამდე 10 წუთით ადრე დაუბრუნა.

**"კარცერში მოთავსებული პატიმრების გაშიშვლება, ძილისა და მოსვენებისთვის ხელისშემშლელი პირობების შექმნა, პირადი ჰიგიენის დაცვისათვის აუცილებელი ნივთების, მიმოწერისათვის საჭირო ქაღალდისა და საწერ-კალამის აკრძალვა ძირეულად ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და საქართველოს მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს ("საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" - მე-7, მე-10 მუხლი; "კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ"; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია" - მე-3 მუხლი). მსგავსი ქმედებები შეიძლება შეფასდეს, როგორც წამება და არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა. გამოვლენილი დამნაშავეები ამის გამო მკაცრად უნდა დაისაჯონ,"** - განაცხადა სოზარ სუბარმა.

ომბუდსმენი მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებებს იყენებს და "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 21-ე მუხლის "დ" პუნქტის თანახმად, მიმართავს გენერალურ პროკურატურას, დაიწყოს გამოძიება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის საპყრობილესა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე.

*24 საათი*

## უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე პარიზის კონფერენციაზე მოხსენებას წაიკითხავს

საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საფინანსო სააგენტო" 2006 წლის 8 ნოემბერს 11.00 საათზე ატარებს საჯარო აუქციონს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულ ქონებაზე. ქონებას წარმოადგენს ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები და სხვა.

აუქციონი ჩატარდება შემდეგი ლოტების მიხედვით:

| ლოტის N | რაოდენობა | ღირებულება |
|---|---|---|
| 1-(1) | 164 | 1322.48 |
| 2-(10) | 40 | 353.66 |
| 3-(100) | 36 | 1301.41 |
| 4-(101) | 283 | 6804.29 |
| 5-(102) | 125 | 1910.91 |
| 6-(103) | 12 | 180.54 |
| 7-(104) | 64 | 234.36 |
| 8-(105) | 76 | 863.31 |
| 9-(106) | 733 | 714.45 |
| 10-(107) | 52 | 1647.44 |
| 11-(108) | 201 | 468.91 |
| 12-(109) | 557 | 2236.51 |
| 13-(11-139) | 500 | 940 |
| 13-(11) | 124 | 9068.53 |
| 14-(111) | 12 | 722.16 |
| 15-(112) | 230 | 2795.5 |
| 16-(113) | 10 | 789.86 |
| 17-(114) | 26 | 5886.36 |
| 18-(115) | 43 | 7890.5 |
| 19-(116) | 516 | 566.04 |
| 20-(117) | 92 | 3204.7 |
| 21-(118) | 137 | 3547.04 |
| 22-(119) | 172 | 1590.71 |
| 23-(120) | 244 | 1964.51 |
| 24-(121) | 227 | 1591.24 |
| 25-(12-13) | 57 | 4340.59 |
| 26-(122) | 106 | 402.64 |
| 27-(123) | 878 | 386.6 |
| 28-(124) | 85 | 799.43 |
| 29-(125) | 461 | 10696.26 |
| 30-(126) | 224 | 2999.77 |
| 31-(127) | 28 | 152.72 |
| 32-(128) | 8896 | 1690.24 |
| 33-(129) | 20 | 90.3 |
| 34-(13) | 58 | 4186.35 |
| 35-(130) | 684 | 513 |
| 36-(131) | 569 | 8210.02 |
| 37-(132) | 49 | 1968.32 |
| 38-(133) | 503 | 6764.91 |
| 39-(134) | 66 | 2257.5 |
| 40-(135) | 41 | 581.2 |
| 41-(136) | 118 | 1228.12 |
| 42-(137) | 199 | 2993.96 |
| 43-(138) | 20 | 470.2 |
| 44-(139) | 30 | 677.1 |
| 45-(14) | 4 | 7.52 |
| 46-(140) | 117 | 2065.05 |
| 47-(141) | 40 | 135.05 |
| 48-(142) | 245 | 32725.07 |
| 49-(143) | 509 | 1770.13 |
| 50-(144) | 131 | 1933.43 |
| 51-(145) | 102 | 767.55 |
| 52-(146) | 45 | 3659.69 |
| 53-(147) | 180 | 405.9 |
| 54-(148) | 124 | 7970.11 |
| 55-(149) | 120 | 804.5 |
| 56-(15) | 1124 | 1270.12 |
| 57-(150) | 53 | 298.92 |
| 58-(151) | 54 | 4032.06 |
| 59-(152) | 208 | 2967.5 |
| 60-(153) | 87 | 3122.02 |
| 61-(154) | 14 | 26.32 |
| 62-(155) | 49 | 3114.35 |
| 63-(156) | 14 | 1139.67 |
| 64-(157) | 14 | 263.27 |
| 65-(158) | 10 | 68.83 |
| 66-(159) | 350 | 598.76 |
| 67-(16) | 4 | 7.52 |
| 68-(160) | 32 | 2388.41 |
| 69-(161) | 258 | 1390.91 |
| 70-(162) | 1341 | 3901.72 |
| 71-(163) | 990 | 1591.83 |
| 72-(17) | 190 | 6864.54 |
| 73-(18) | 821 | 3005.16 |
| 74-(19) | 547 | 2050.73 |
| 75-(2) | 82 | 1370.99 |
| 76-(2/G2X) | 85 | 443.89 |
| 77-(20) | 129 | 2140.35 |
| 77-(20-188) | 64 | 782.4 |
| 78-(201) | 310 | 4197.71 |
| 79-(21) | 129 | 2555.95 |
| 80-(22) | 64 | 3411.53 |
| 81-(23) | 78 | 2237.99 |
| 82-(24) | 25 | 1286.34 |
| 83-(25-224) | 8 | 30.08 |
| 83-(25) | 16 | 180.56 |
| 84-(26) | 1898 | 1941.81 |
| 85-(27) | 5000 | 3750 |
| 86-(28) | 7 | 225.68 |
| 87-(29) | 167 | 3815.8 |
| 88-(3) | 164 | 1980.56 |
| 89-(30) | 518 | 3393.86 |
| 90-(31) | 162 | 1320.8 |
| 91-(313(104)) | 70 | 1820 |
| 92-(32) | 88 | 1216.85 |
| 93-(33) | 9 | 16.92 |
| 94-(35) | 18 | 2933.79 |
| 95-(36) | 914 | 1375.57 |
| 96-(38) | 301 | 4666 |
| 97-(39) | 191 | 3762.73 |
| 98-(4) | 126 | 2068.93 |
| 99-(40) | 141 | 3014.66 |
| 100-(41) | 120 | 3690.49 |
| 101-(42-63-33) | 122 | 1568.53 |
| 102-(43) | 16 | 774.83 |
| 103-(44) | 78 | 5371.06 |
| 104-(45) | 7710 | 3250.11 |
| 105-(46) | 148 | 256.35 |
| 106-(49) | 64 | 3577.01 |
| 107-(5) | 110 | 1852.67 |
| 108-(50) | 89 | 5587.52 |
| 109-(51) | 82 | 4374.42 |
| 110-(52) | 673 | 852.88 |
| 111-(53) | 236 | 1331.04 |
| 112-(54) | 330 | 869 |
| 113-(55) | 80 | 5641.97 |
| 114-(56) | 65 | 1267.61 |
| 115-(57) | 97 | 1463.24 |
| 116-(58) | 226 | 6179.18 |
| 117-(59) | 211 | 7176.72 |
| 118-(6) | 101 | 6123.4 |
| 119-(60) | 208 | 6447.06 |
| 120-(61) | 86 | 2093.97 |
| 121-(62) | 136 | 4094.25 |
| 122-(63) | 59 | 4205.17 |
| 123-(64) | 153 | 6546.64 |
| 124-(65) | 44 | 3001.54 |
| 125-(66) | 136 | 4820.21 |
| 126-(67) | 16 | 744.78 |
| 127-(69) | 727 | 10622.61 |
| 128-(7) | 303 | 1551.51 |
| 129-(70) | 408 | 12899.55 |
| 130-(71) | 71 | 5213.13 |
| 131-(72) | 81 | 1523.21 |
| 132-(73) | 2285 | 2555.94 |
| 133-(74) | 163 | 2377.19 |
| 134-(75) | 3614 | 8754.76 |
| 135-(76) | 750 | 1637.25 |
| 136-(76-56) | 64 | 737.28 |
| 137-(77) | 11 | 744.76 |
| 138-(78) | 206 | 4091 |
| 139-(79) | 17 | 31.96 |
| 140-(8) | 71 | 736.49 |
| 141-(80) | 1953 | 5428.91 |
| 142-(81) | 55 | 3723.78 |
| 143-(82) | 259 | 1345.06 |
| 144-(83) | 63 | 710.96 |
| 145-(84) | 65 | 3874.15 |
| 145-(84-467) | 1154 | 2547.9 |
| 146-(85) | 77 | 5145.56 |
| 146-(85-285) | 6 | 146.7 |
| 147-(86) | 70 | 1019.37 |
| 147-(86-65) | 300 | 169.5 |
| 148-(87) | 16 | 361.12 |
| 149-(88) | 682 | 9599 |
| 150-(89-493) | 217 | 475.45 |
| 150-(89) | 878 | 9791.07 |
| 151-(90) | 225 | 3351.31 |
| 152-(91) | 257 | 3776.35 |
| 153-(92) | 100 | 2068.5 |
| 154-(93) | 64 | 5229 |
| 155-(94) | 54 | 812.43 |
| 156-(95) | 93 | 1639.9 |
| 157-(97) | 40 | 1715.12 |
| 158-(98) | 3493 | 12745.28 |
| 158-(98-485) | 680 | 1278.4 |
| 67277.00 | 479886.15 | |

გასაყიდი ქონება განთავსებულია ქ. ბათუმი მელიქიშვილის 104ა შპს ტერმინალი "ავაზა"-ს საწყობში.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ "საფინანსო სააგენტოს" 2006 წლის 7 ნოემბერს 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის 6.

განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) ინფორმაციას მონაწილის შესახებ;

ბ) ქონების დასახელებას;

გ) ლოტზე (ან ლოტებზე) მითითებას;

დ) საგარანტიო თანხის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს;

ე) პირადობის დამადასტურებელ საბუთს, სათანადო წესით დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან სხვა ფიზიკური პირის სახელით.

საგარანტიო თანხა, რომლის სიდიდეც შეადგენს აუქციონზე გამოტანილი ქონების 10%-ს, მის მიერ განცხადებაში მითითებული ლოტების შესაბამისად, შეტანილ უნდა იყოს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები: საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საფინანსო სააგენტო"

ბანკი: სს "ბაზისბანკი"

კოდი: 220101956

ანგარიშის N7434110

დანიშნულება: საგარანტიო თანხა, N - ლოტზე.

განცხადება შეიძლება შეტანილი იყოს ცალკ-ცალკე ან რამდენიმე ლოტზე ერთად.

აუქციონი გაიმართება ქ. ბათუმში, რუსთაველის N6, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შენობაში მე-4 სართულზე.

აუქციონზე გასაყიდი ქონების წინასარეალიზაციო ჩვენება-დათვალიერება შედგება (ქ. ბათუმი მელიქიშვილის 104ა შპს ტერმინალი "ავაზა"-ს საწყობი) მიმდინარე წლის 3 ნოემბრიდან 6 ნოემბრის ჩათვლით 1100 საათიდან 1800 საათამდე საფინანსო სააგენტოს მეშვეობით (3 ნოემბერს 1-დან 42 ლოტამდე, 4 ნოემბერს 42-დან 83 ლოტამდე, 5 ნოემბერს 83-დან 124 ლოტამდე, 6 ნოემბერს 124-დან 166 ლოტამდე).

დამატებითი ინფორმაცია აუქციონზე გასატანი ქონების შესახებ და აუქციონის პირობების თაობაზე მსურველებს შეუძლიათ მიიღონ "საფინანსო სააგენტოში".

საკონტაქტო პირები: კობა ლაცაბიძე, ბეჟან შარაშიძე, ეკატერინე წიკლაური

ტელ: 25-34-21, 25-34-22

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს ტენდერს სატელევიზიო მექანიკის თარგმნა-გახმოვანებაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია:

მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში

მიმღების ანგარიში: 200122900

მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიმღების ბანკის კოდი: 220101107

სახაზინო კოდი: 302003000

გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი

დამატებითი ინფორმაცია: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" (2585)

თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინოთ, ქ. თბილისი კოსტავას -68 ოთახი -341, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია, 2006 წლის 16 ნოემბრის 17 საათამდე.

2. შესყიდვის ობიექტი:

**ლოტი 1 მხატვრული ფილმები - 1092 საათი 2-4 ხმაში**
**ლოტი 2 დოკუმენტური ფილმები - 789 საათი 1-2 ხმაში**
**ლოტი 3 მხატვრული სერიალები - 1153 საათი 4 ხმაში**
**ლოტი 4 ანიმაციური ფილმები - 364 საათი 2-4 ხმაში**

3. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, კოსტავას -68

4. მიწოდების სავალდებულო ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2007 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლიარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 17 ნოემბრის 10.00 საათიდან 12.00 საათამდე, მისამართზე ქ. თბილისი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, კოსტავას -68.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

- ცნობას რეგისტრაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, გაცემული შესაბამისი რაიონის საგადასახადო ორგანოს მიერ) (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

**ფიზიკური პირებისათვის:**

- ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;
- ინდივიდუალური მეწარმის მოწმობა, გაცემული საგადასახადოდან. (თუ ფიზიკური პირი ინდივიდუალური მეწარმეა)

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
- ცნობას საგადასახადოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
- ცნობას საგადასახადოდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არა აქვს დავალიანება;
- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ინფორმაციას ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლონაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური სამუშაოების შესახებ;

7. წარმოდგენილი უნდა იქნეს სუბკონტაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

8. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების მოთხოვნებს.

9. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

10. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

11. გამოიყენება სატენდერო წინადადების ღირებულების 1 პროცენტის ოდენობის უზრუნველყოფის გარანტია და ხელშეკრულების უზრუნველყოფის 2 პროცენტიანი საბანკო გარანტია.

12. დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ნათია ზამთარაძე ტელ: 33-23-64

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს ტენდერს საწვავის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია:

მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში

მიმღების ანგარიში: 200122900

მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიმღების ბანკის კოდი: 220101107

სახაზინო კოდი: 302003000

გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი

დამატებითი ინფორმაცია: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" (2585)

თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინოთ, ქ. თბილისი კოსტავას N68 ოთახი N341, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია, 2006 წლის 17 ნოემბრის 17 საათამდე.

2. შესყიდვის ობიექტი:

| ლოტი № | მისაწოდებელი საქონლის მოკლე დასახელება | რაოდენობა (ლიტრი) |
|---|---|---|
| 1 | ბენზინი რეგულარი | 280 000 |
| 2 | ბენზინი პრემიუმი | 15 400 |
| 3 | დიზელი | 8 000 |

3. მიწოდების ადგილი - სატალონო სისტემა, საქართვლოში არსებული მიმწოდებლის საკუთარი ბენზოგასამართი სადგურებიდან.

4. მიწოდების სავალდებულო ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2007 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლიარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 20 ნოემბრის 10.00 საათიდან 12.00 საათამდე, მისამართზე ქ. თბილისი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, კოსტავას N68.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

- ცნობას რეგისტრაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, გაცემული შესაბამისი რაიონის საგადასახადო ორგანოს მიერ) (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან

**ფიზიკური პირებისათვის:**

- ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;
- ინდივიდუალური მეწარმის მოწმობა, გაცემული საგადასახადოდან. (თუ ფიზიკური პირი ინდივიდუალური მეწარმეა).

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

n ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
- ცნობას საგადასახადოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
- ცნობას საგადასახადოდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არა აქვს დავალიანება;
- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ინფორმაციას ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ
n ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური სამუშაოების შესახებ.

7. წარმოდგენილი უნდა იქნეს სუბკონტაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

8. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების მოთხოვნებს.

9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

10. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

11. გამოიყენება სატენდერო წინადადების ღირებულების 1 პროცენტის ოდენობის უზრუნველყოფის გარანტია და ხელშეკრულების უზრუნველყოფის 2 პროცენტიანი საბანკო გარანტია.

12. დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ნათია ზამთარაძე ტელ: 33-23-64

*მოკლედ*

## ბრინჯაოს მეეტლე

ძვ.წ.აღ VIII-VII საუკუნის ბრინჯაოს ფიგურას უნიკალური რესტავრაცია ჩაუტარდა - 70-იან წლებში ხარვეზებით, უკუღმა აწყობილ მეეტლეს პირვანდელი სახე დაუბრუნდა. როგორც საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ნათია მურაჩაშვილმა განაცხადა, ბრინჯაოს ფიგურა ამჟამად ნოქალაქევში ინახება და მისი აღდგენა საველე ქიმიურ-სარესტავრაციო-კვლევითი ლაბარატორიის საშუალებით მოხერხდა. ამასთან სოფელ ნოქალაქევში ძეგლის უსაფრთხოების მიზნით ნაქალაქრის ქვედა ტერასა მთლიანად შემოისაზღვრა 1200-მეტრიანი ღობით; გაკეთდა 200-მეტრიანი დეკორატიული შემოღობვა; შეკეთდა ციხის ქონგურები. **ჯი-ეიჩ-ენი**

## თოჯინების თეატრი

ქართული თოჯინების თეატრი უახლოეს მომავალში ახალ სპექტაკლს, "ბურატინოს" წარმოადგენს. დამდგმელი რეჟისორია გივი სარჩიმელიძე. მხატვრობა ოლგა ყუფუნიას, მუსიკა კი ნინო ჯანჯღავას ეკუთვნის. "ბურატინოს" მაია მაზიაშვილი, ყარაბას-ბარაბასს მანანა წიკლაური და თეონა კიწმარიშვილი, ხოლო პაპა კარლოს მალხაზ გაბუნია განასახიერებენ. როგორც თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილემ აზა საჯაიამ განაცხადა: "ბავშვებს ძალიან უყვართ ეს ნაწარმოები და მათი ინტერესების დაკმაყოფილება ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია. სიახლე გახლავთ ის, რომ ყარაბას ბარაბასის როლს ქალი განასახიერებს. ვფიქრობ, უახლოეს მომავალში ბავშვებს საინტერესო სანახაობა ელოდებათ". **ჯი-ეიჩ-ენი**

## X საუკუნის თოკის ტაძარი

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი, ჯავახეთში მდებარე X საუკუნის თოკის ტაძარი სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო დანგრევის პირას მისული ტაძრის სარესტავრაციო პროექტზე მუშაობს. სავარაუდოდ ეკლესიას მომავალ წელს აღადგენენ. როგორც ახალციხე-ტაოკლარჯეთის ეპარქიის მიტროპოლიტმა მამა თეოდორემ განმარტა, ნახევრად დანგრეული ტაძარი კულტურის მინისტრის მოადგილემ ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა მოინახულა და პირველადი სამუშაოების ჩასატარებლად იქ სტუდენტები დაასაქმა. "დრო-ჟამის მიერ განადგურებული ტაძრის აღდგენა მარტივი საქმე არ არის. ამას პირველ რიგში პროექტირება სჭირდება", - აღნიშნა მიტროპოლიტმა თეოდორემ. კულტურის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტის უფროსის პაატა გაფრინდაშვილის ინფორმაციით, თოკის ტაძრის სარესტავრაციო გეგმა უკვე ჩამოყალიბებულია, თუმცა სამინისტროს საგანგებო ჯგუფმა პროექტში გარკვეული კორექტივები შეიტანა, რის გამოც ეკლესიის აღდგენის ვადებმა შედარებით გვიან გადაიწია.

"თოკის ტაძარი უკვე დიდი ხანია რეაბილიტაციას საჭიროებს. კულტურული მემკვირდრეობის ეს ძეგლი თითქმის ნახევრად დანგრეულია და მნიშვნელოვან სარეაბილიტაციო სამუშაოებს მოითხოვს. ჩვენ გვჭირდება პროექტი, რომელშიც ყველა ნიუანსი წინასწარ იქნება განსაზღვრული. უკვე შემუშავებულ პროექტში დაშვებული უზუსტობების გამოსწორების შემდეგ ჩვენ დაუყოვნებლივ დავიწყებთ აღნიშნული ძეგლის რესტავრაციას",- განაცხადა პაატა გაფრინდაშვილმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## დუშანბეს კინოფესტივალი

26 ოქტომბერს, ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეში საზეიმოდ გაიხსნა II საერთაშორისო კონოფესტივალი "დიდორ - 2006".

"ფესტივალზე 13 ქვეყნის 73 ფილმი იქნება წარმოდგენილი, მათ შორის ავღანეთის, საქართველოს, სომხეთის, ირანის, იტალიის, ყაზახეთის, ჩინეთის, ყირგიზეთის, რუსეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, საფრანგეთისა და იაპონიის კინომატოგრაფისტების ნამუშევრები", - განაცხადა ფესტივალის გენერალურმა დირექტორმა საფარ ხაკდოდოვიმ. ფესტივალის საერთაშორისო პროგრამაში ჟიურის სამჯავროზე 10 სრულმეტრაჟიან და 8 მოკლემეტრაჟიან ფილმს წარადგენენ. აღნიშნულ ნომინაციაში გამარჯვებულისთვის გათვალისწინებულ გრანპრის თან ერთვის შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ფულადი პრემია 3 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. პროგრამაში "ერთიანი მოსახლეობა" წარმოდგენილი იქნება ტაჯიკი კინომატოგრაფების ოთხი სრულმეტრაჟიანი და ხუთი მოკლემეტრაჟიანი ფილმი. ამ ნომიმაციაში გამარჯვებულს 4 ათასი აშშ დოლარი გადაეცემა. ფესტივალი 30 ოქტომბერს დაიხურება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ვაჟა-ფშაველას საიუბილეო გამოფენა

27 ოქტომბერს საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში ვაჟა-ფშაველას საიუბილეო გამოფენა გაიხსნება. გამოფენაზე მწერლის მემორიალური ნივთები, ხელნაწერები, მისი პერსონაჟების შესახებ შექმნილი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, ვაჟა-ფშაველას შესახებ არსებული ფოტომასალა, პორტრეტები იქნება წარმოდგენილი.

როგორც ლიტერატურის მუზეუმის დირექტორის მოადგილემ, თეა თვალავაძემ განაცხადა, გამოფენა, რომელიც მწერლის 145 წლის იუბილეს ეძღვნება, რამდენიმე თვეს გაგრძელდება. **ჯი-ეიჩ-ენი**


**ბრიტანული ენის დარბაზი**
**გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ**

■ ინგლისური ენის კურსს სკოლის ასაკის ბავშვებისა და უფროსებისათვის.

■ მოსამზადებელ კურსს კემბრიჯის საერთაშორისო სერტიფიკატებისათვის (**PET, FCE, CAE, IELTS**)

■ სპეცკურსს აბიტურიენტებისათვის. სწავლებისას გამოიყენება ბრიტანეთის წამყვანი გამომცემლობების მაკმილანის, ჰარპერ-კოლინზის, პიარსონის, ოქსფორდისა და კემბრიჯის უახლესი სასწავლო ლიტერატურა.

ბრიტანეთსა და ამერიკაში კურსდამთავრებული პედაგოგები უზრუნველყოფენ თქვენს წარმატებებსა და მაქსიმალურ პროგრესს.

**Good luck with your English.**

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N7
(ცეკავშირის შენობა) IV სართ. ოთახი 405
ტ. 55-21-29
ელ.ფოსტა: **british-Languaje hall@yahoo.com**



**არ გაუშვათ ბოლო შანსი!**

EKO GEORGIA

შპს „ეკო ჯორჯია" აცხადებს ტენდერს გაყიდვაზე.

იყიდება 4020 მ² მიწის ფართობი, მდებარე ქ. თბილისში მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ვახუშტის ხიდის მიმდებარე ტერიტორია. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2006 წლის 23 ოქტომბრიდან 13 ნოემბრამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზ. 74, მე-8 სართული, შპს „ეკო ჯორჯია"
ტელ: 29 23 64; 25 15 07; 25 18 67
საკონტაქტო პირი: ლიკა ფირანიშვილი მობ. 877 41 43 72


**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო იუწყება**

**რომ გარდაიცვალა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე დორიან კიტია და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

# გადაფურცლეთ ქართული კინოს ისტორია

### გამოიცა ქართული ფილმების კატალოგის სამტომეულის პირველი წიგნი



*პრეზენტაციაზე.*

ია ვეკუა

1896 წლის 16 ნოემბერს თბილისის სათავადაზნაურო თეატრში უჩვეულო წარმოდგენა გაიმართა: კედელზე გადაჭიმულ თეთრ ზეწარზე ევროპიდან ჩამოსულმა სტუმრებმა ძმებ ლუმიერების სინამეტოგრაფის პატარა ნაწყვეტი აჩვენეს. ამ დღეს ყველაფერი უშედეგოდ დასრულდა - მაყურებელი დაიშალა, ზეწარი ჩამოხსნეს, ევროპელები კი შინ გაემგზავრნენ. ამ უცნაური სათამაშოს შესახებ თბილისელებმა მხოლოდ რვა წლის შემდეგ გაიხსენეს, როდესაც მაშინდელ გოლოვინის პროსპექტზე პირველი კინოთეატრი "ილუზიონი" გაიხსნა. ორი წლის შემდეგ კი პირველი ქართული ფილმი გადაიღეს.

2008 წელს ქართული კინემატოგრაფი 100 წლის იუბილეს იზეიმებს. ამ თარიღთან დაკავშირებით ალბათ დიდ დღესასწაულს უნდა ველოდოთ. იუბილესთვის მზადება კი უკვე დაიწყო - გამოიცა ანოტირებული და ილუსტრირებული ფილმების კატალოგი "ქართული ფილმი". კატალოგი იმ სამტომეულის პირველი ნაწილია, რომლის გამოცემაც 2008 წლამდე იგეგმება.

კატალოგის პირველი ტომი 1908 წლიდან 1964 წლამდე პერიოდს მოიცავს. მასში თავმოყრილია ყველა ქართული მხატვრული, დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული, ანიმაციური და სატელევიზიო ფილმი, რომლებიც 1964 წლამდეა გადაღებული.

კატალოგი მხატვრული ფილმებით იწყება. 1916-1918 წლებში გადაღებული 50-წუთიანი "ქრისტინე" პირველი ქართული მხატვრული ფილმია. რეჟისორმა ალექსანდრე წუწუნავამ იმდროინდელი მსახიობების გვერდით სრულიად ახალგაზრდა ნატო ვაჩნაძეც გადაიღო. კატალოგის ყდაზე სწორედ ამ კინოვარსკვლავის ფოტოა გამოტანილი, როგორც ქართული კინოს სიმბოლოსი.

მხატვრული ფილმების ჩამონათვალი ივანე პერესტიანის "არსენა ჯორჯიაშვილითა" და ვლადიმერ ბარსკის "მოძლვრით" გრძელდება. აქვეა ქართული კინემატოგრაფის მარგალიტები: "გიორგი სააკაძე", "აკაკის აკვანი", "მაგდანას ლურჯა", "ქეთო და კოტე". შემდეგ მოდის წმინდა საბჭოური თემატიკის "ჭრიჭინა", "ისინი ჩამოვიდნენ მთიდან", "აბეზარა" და სხვა. ჩამონათვალი 1964 წელს გადაღებული "ხევისბერი გოჩათი" და ქართული კინოს ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევრით "ჯარისკაცის მამით" მთავრდება.

მხატვრულ კინოს დოკუმენტური ფილმები ენაცვლება. ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ პირველი ქართული დოკუმენტური ფილმია ვასილ ამაშუკელის მიერ 1912 გადაღებული "აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭალეჩხუმში". თუმცა კატალოგიდან ირკვევა, რომ ერთი წლით ადრე გადაუღიათ 10-წუთიანი ფილმი "სომეხთა კათალიკოსის კურთხევა ეჩმიაძინში", 1909 წელს კი დავით სარაჯიშვილის დაკრძალვა აღუბეჭდავთ ფირზე.

კატალოგი ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმებით გრძელდება, შემდეგ კი ანიმაციური ფილმების ჩამონათვალი მოდის. ვლადიმერ მუჯირის "გაზაფხული", რომელიც 1931 წელსაა გადაღებული, ამ მხრივ პირველობას არავის უთმობს.

კატალოგის ბოლოს ძალზე მოსახერხებელი საძიებელია - ფილმები, მსახიობები და რეჟიორები ანბანის მიხედვითაა განლაგებული. კატალოგი ორენოვანია და მკითხველს, ქართულის გარდა, ინგლისურ ენაზეც აწვდის ინფორმაციას.

კატალოგის შექმნის იდეისა და პროექტის ავტორია კინომცოდნე დავით აბდალაძე. მასალის შეგროვებაზე მასთან ერთად მუშაობდნენ ალექსანდრე გურული, ქეთევან ჯაყელი და გიორგი კვირკველია. კონსულტაციას კი ნინო ანჯაფარიძე, ლაშა ბაქრაძე, ნინელი ჭანკვეტაძე, ქეთი კაკაბაძე და კოტე ჩლაიძე უწევდნენ.

სამტომეულის დანარჩენ ნაწილზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს და 2008 წლამდე ორივე ტომი გამოიცემა.

*სპორტი*

# ევროპით ძიუდო სრულდება



*ზვიადაურისა და ხერგიანის გარდა ნაკრები ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული.*

ბიბა ბურასაშვილი

*საბუთები არ დაგავიწყდეთ. ხომ იცით, აეროპორტში ორ საათზე ვიკრიბებით. ახლა წადით და მოემზადეთ.*
*ასე მიმართავდა საკუთარ სამწყსოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი. ცნობისთვის, დღეს გამთენიისას საქართველოს ნაკრები ბელგრადში ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე გაემგზავრა.*

შაბათს ძიუდოისტები ევროპის გუნდური ჩემპიონატით დაუსვამენ წერტილს 2006 წლის სეზონს. იმის გათვალისწინებით, რომ ცოტა ხნით ადრე საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონობა მოიპოვა, ქართველი გულშემატკივარი კიმონოში გამოწყობილი ქართველებისგან ევროპის პირველობაზეც იგივეს ელის, თუმცა...

"ძირითად ბირთვს წლეულს დიდი დატვირთვა ჰქონდა, შესაბამისად, ფიზიკურად თუ ფსიქოლოგიურადაც გადაღლილები არიან - ვითარებაში გვარკვევს ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი. - შრომატევადი წელი გვქონდა. ძირითადმა ბირთვმა იასპარეზა ყველგან, სადაც კი შესაძლებელი იყო. მათ შორის, ევროპის ჩემპიონატზე, მსოფლიოს გუნდურ თუ ევროპის საკლუბო ჩემპიონატებზე. მათ ახლა დასვენება სჭირდებათ. იანვრიდან პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის ლიცენზიების გათამაშება იწყება. ბუნებრივია, ამ ეტაპზე ჩვენი ძირითადი ამოცანაც ლიცენზიების მოპოვებაა. აქედან გამომდინარე, კონტინენტის გუნდურ პირველობაზე არ იასპარეზებენ ნაკრების პირველი ნომრები".

**- გამოდის, რომ ჩემპიონობისთვის არ ვიბრძოლებთ...**

- ძირითადი ბირთვი რომ წაგვეყვანა, ჩემპიონობას ვერავინ წაგვართმევდა. ჩვენ ჩვენი სიძლიერე უკვე დავამტკიცეთ. რა თქმა უნდა, ბელგრადში სასეირნოდ არ მივდივართ. ახლა მთავარი ისაა, რომ ახალგაზრდებმაც მიიღონ გამოცდილება.

**- მიუხედავად ამისა, ნაკრებში გყავთ ათენის ოლიმპიური თამაშების ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები ზურაბ ზვიადაური და ნესტორ ხერგიანი... ხერგიანს ნაკლებად ეხება, მაგრამ ზვიადაურს წლეულს ფაქტობრივად, არსად უასპარეზია...**

- ზვიადაური მთელი წლის განმავლობაში იყო დასვენებული. ასე რომ, მასაც სჭირდება საასპარეზო გამოცდილების მიღება. შეიძლება ითქვას, ყველაფერს ახლა იწყებს. გვინდა, რომ ზურა საქართველოს ჩემპიონატისთვისაც მოემზადოს. საქართველოს ჩემპიონატი კი უმნიშვნელოვანესი, უფრო სწორად, განმსაზღვრელი იქნება იმისა, თუ ვინ დაიკავებს ძირითად ბირთვში ადგილს.

**საქართველოს ნაკრები**

ვახტანგ ხოსიტაშვილი
მინდია ხომიზური
ნესტორ ხერგიანი
გიორგი ბაინდურაშვილი
ზურაბ ზვიადაური
ლევან ჟორჟოლიანი
გიორგი ყიზილიაშვილი
ადამ ოქრუაშვილი





**ცნობილი სახალხო მკურნალი ანდრო სამხთუაშვილი იღებს პაციენტებს "დავით ტატიშვილის აღდგენითი მედიცინის ცენტრში".**

**ს ი ა ხ ლ ე !**

**ყველას, ვისაც გაწუხებთ ხერხემლის დაავადებები!**

სამკურნალო მასაჟისა და მანუალური თერაპიის გამოცდილი სპეციალისტი, ირაკლი ძიძიგური გთავაზობთ ხერხემლის დაავადებების მკურნალობისა და რეაბილიტაციის უახლეს, მაღალეფექტურ კინეზო-ფიზიოთერაპიულ კომპლექსს.

**მის. ი. ჭავჭავაძის 78**

**დავით ტატიშვილის აღდგენითი**

**მედიცინის ცენტრი**
**ტელ: 293 -292**
**(899) 222 - 912**
**(893) 65 38 39**

Cven mivdevT dros!

**დავით ტატიშვილის**
**სამედიცინო ცენტრი**

**გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ**

**ულტრათანამედროვე**
**სამედიცინო ტექნოლოგიების სრულ კომპლექსს**
**ნებისმიერი ასაკის პაციენტებისთვის**

■ სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფია.
■ ექოსკოპია სამგანზომილებიანი რეკონსტრუქციით.
■ უახლესი ამერიკული ფერადდოპლერიანი ექოსკოპიური აპარატურით მომსახურებას გამოძახებით.
■ რენტგენოლოგიურ კვლევებს და მამოგრაფიას სტერეოტაქსიური ბიოფსიით.
■ მაღალტექნოლოგიურ კომპიუტერულ ელექტროენცეფალოგრაფიას.
■ ფუნქციური დიაგნოსტიკის მეთოდების სრულ პაკეტს.
■ აბსოლიტურად უსაფრთხო, მაღალტექნოლოგიურ, უზუსტეს ლაბორატორიულ გამოკვლევებს.
■ ციტოლოგიურ, ჰისტოლოგიურ და მოლეკულურ - მორფოლოგიურ ლაბორატორიულ კვლევებს.
■ კომპიუტერულ კოლპოსკოპიას.
■ ორთოპედულ - ტრავმატოლოგიური, გინეკოლოგიური და სანაღვლე გზების დაავადებების ქირურგიულ ოპერაციებს მსოფლიოში უახლესი ლაპარასკოპიული ტექნოლოგიების აპარატურით.
■ აღდგენითი თერაპიის ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებს.
■ წონაში კლებისა და გაჯანსაღების თანამედროვე მეთოდიკებს და ახალ პროგრამებს.
■ სუ ჯოკ თერაპიას და აღმოსავლური მედიცინის მკურნალობის მეთოდების ფართო სპექტრს.
■ ყველა სახის მომსახურებას თერაპიულ, ქირურგიულ და ორთოპედიულ სტომატოლოგიაში
■ ბავშვთა და მოზრდილთა ასაკის პაციენტთა სრულ პოლიკლინიკურ მომსახურებას.
■ ბინაზე მომსახურების სრულ პაკეტს.
■ შაბათ-კვირას მომსახურეობა ტარდება ფასდაკლებით

**თბილისი, ვაკე, თენგიზ აბულაძის ქ. N8**
**ტელეფონი: 91 31 19, 91 32 42**

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:




### L´Oreal-მა Sanoflore Laborotoire იყიდა

ფრანგულმა კოსმეტიკურმა გიგანტმა L'Oreal-მა ეთერზეთებისა და ნატურალური კოსმეტიკური საშუალებების მწარმოებელი ფრანგული კომპანია Sanoflore Laborotoire შეიძინა. გარიგების ღირებულება კონფიდენციალურია.

"Sanoflore Laborotoire-ის შეძენა საშუალებას მოგვცემს, მომხმარებლის მოთხოვნებზე უფრო ოპერატიული რეაგირება მოვახდინოთ. ჩვენ გვინდა, Sanoflore-ის ნაწარმი მთელ მსოფლიოში ხელმისაწვდომი გავხადოთ," - განაცხადა L'Oreal-ის სამკურნალო კოსმეტიკური საშუალებების განყოფილების აღმასრულებელმა დირექტორმა ბრიჯიტ ლიბერმანმა. სავარაუდოდ, მიმდინარე წელს Sanoflore Laborotoire-ის გაყიდვების მოცულობა 15 მილიონ ევროს მიაღწევს.

### Boeing-ს პრობლემები აქვს

ევროპული Airbus-ის შემდეგ პრობლემები მის მთავარ კონკურენტს, ამერიკულ ავიაგიგანტ Boeing-საც შეექმნა. როგორც გამოცემა Financial Times იუწყება, კომპანია ახალი, 300-ადგილიანი ავიალაინერის Boeing-787-ის შექმნისას სიძნელეებს წააწყდა. კერძოდ, ამერიკელ ავიამშენებლებს პრობლემები აქვთ თვითმფრინავის მასასთან და დეტალების მომწოდებლებთან დაკავშირებით.

მიუხედავად ამისა, Boeing-ის ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ შეკვეთების შესრულების მხრივ სირთულეები არ შეექმნებათ. ამ დროისათვის ამერიკულ ავიაგიგანტს მსოფლიოს 34 ავიაკომპანიისაგან 432 Boeing-787-ის შეკვეთა აქვს მიღებული.




### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3234 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9922 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4738 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7400 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8125 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1183 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2934 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3037 |
| 1 | ევრო | EUR | 2,1870 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,3979 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3346 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1877 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1462 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2649 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1888 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2551 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4066 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5435 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1071 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3160 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3182 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2618 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5644 |
| 1 | რუმინული ლეი | RON | 0,6211 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0647 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1068 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4565 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5130 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4123 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4468 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8351 |
| 1 | კუვეითური დოლარი | KWD | 6,0174 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1362 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4456 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2376 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3747 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0771 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2203 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2236 |




# 200 კითხვა ვარსკვლავის მოსაპოვებლად



ეკა ქევანიშვილი

*200 კითხვაზე, რომელიც საგანგებოდ სასტუმროებისთვის ტურიზმის დეპარტამენტში მზადდება, ყველა იმ სასტუმრომ უნდა გასცეს პასუხი, ვისაც ვარკვლავის მინიჭება ან უკვე მინიჭებული ვარსკვლავის რაოდენობის გადახედვა სურს. კითხვები ინტერნეტში დაიდება. სასტუმროებს კი ორი კონკრეტული პასუხი - "კი" და "არა" ექნებათ შემოსახაზი. მოტყუებას აზრი არა აქვს, რადგან ერთ მშვენიერ დღეს, ისე, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებში ხდება, მას "მისტერ-გესთი" აუცილებლად ეწვევა შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოდან და შეამოწმებს.*

დღეს თბილისსა და საქართველოში სასტუმროების მაინცდამაინც დიდი არჩევანი არ არის. როგორც ტურიზმის დეპარტამენტში ამბობენ, ამ მხრივ გარკვეული დეფიციტიც კი არსებობს. რამდენიმე მშენებარე სასტუმრო, მათ შორის: ყოფილი "ივერია" (რომელსაც "სილქ როუდ ჯგუფი" აშენებს) და "აჭარა", (რომელსაც "აკორი" უდგას სათავეში) სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადგილას "ინტერკონტინენტალის" სასტუმრო და რესტორან "არაგვთან" "ჰაიატი", ამ დეფიციტს ნაწილობრივ შეავსებს.

დღეს თბილისში სამი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა. ამას ემატება ბათუმი და გუდაური. დანარჩენი არსებული სასტუმროები, ძირითადად, ერთ ან ორვარსკვლავიანია. ექსპერტების შეფასებით, საქართველოს სწორედ ამ ტიპის სასტუმროები უფრო ესაჭიროება - ტურისტებზე და ვიზიტორებზე გათვლილი.

გაგრძელება B2 გვერდზე

B2

# ვინ ამოწმებს თამბაქოს ხარისხს?

მარიამ ჭაჭვაძე

*თამბაქოს კონტროლის ალიანსი ეჭვობს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცალკეული ჩინოვნიკები თამბაქოს ბიზნესს ლობირებენ. ეჭვის საფუძველი ალიანსის წევრებს მას შემდეგ გაუჩნდათ, რაც სამინისტრომ ბაზარზე არსებული თამბაქოს ხარისხის გამოკვლევაზე უარი განაცხადა.*

ყველაფერი კი აქედან დაიწყო: დაახლოებით ერთი თვის წინ თამბაქოს კონტროლის ალიანსმა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილით მიმართა. წერილში ალიანსი ითხოვდა 2005 წლიდან 2006 წლის 22 სექტემბრამდე, სამინისტროს მიერ თამბაქოს ნაწარმზე ხარისხის კონტროლის კუთხით ჩატარებული ღონისძიებების, ბაზარზე არსებული თამბაქოს ყველა ბრენდში ნიკოტინისა და კუპრის შემცველობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რაზედაც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ალიანსს უარი განუცხადა. სამინისტროს ხსენებულ წერილში, რომელსაც მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე მირიან დეკანოიძე აწერს ხელს, ნათქვამია, რომ თამბაქოს ხარისხის კონტროლი მისი უწყების კომპეტენცია არ არის, და თამბაქოს კონტროლის ალიანსს ხსენებული საკითხების გარკვევა და მოძიება საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტში ურჩია.

გაგრძელება B4 გვერდზე

B4

# სასტუმრო, რომელიც ააშენა ჰილტონმა

## Hilton Hotels-ის უძვირფასესი სტუმართმოყვარეობა



გოჩა ქიმუცაძე

*Hilton-ის ქსელში პირველად გამოჩნდა თანამედროვე სასტუმროს ყველა ატრიბუტიკა: კონდიციონერი, ინტერნეტით დაჯავშნა, ავტომატური საკეტები... პირველად სწორედ ჰილტონმა აღნიშნა თავისი სასტუმროების ხარისხი ვარსკვლავებით და მის პირმშოში შეერწყა ერთმანეთს სასტუმრო და კაზინო. ამიტომაც არის, რომ Hilton Hotels Company თავისი სფეროს უდავო ლიდერია და მისი კაპიტალიზაცია, გასული წლის მონაცემებით, 9,23 მილიარდ დოლარს აღწევს.*

Hilton



B3

## სახელმწიფო ელექტროსისტემა ზამთარს მომზადებული ხვდება

სახელმწიფო ელექტროსისტემა ზამთარს მომზადებული შეხვდება. აღმოსავლეთ ქსელის მენეჯერის თემურ მეტრეველის განცხადებით, ყველა ელექტროგადამცემი ხაზი დათვალიერებულია, ხოლო გამოვლენილი დეფექტები აღმოფხვრილი. დასრულებულია მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მიმდებარე ტერიტორიის მწვანე საფარის გაჩეხვითი სამუშაოები.

ბოლო სამუშაოები სრულდება სსე-ს აღმოსავლეთ ქსელში შემავალ 500-220 კილოვოლტიან მაღალი ძაბვის ქვესადგურებში. ამ ღონისძიებების შედეგად, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ენერგოსისტემის იმედიანობა კიდევ უფრო გაიზრდება.

მათ შორის, 500-კილოვოლტიან მაღალი ძაბვის ქვესადგრში "ქსანი" ("ქსანი-500") ატ-3-ის სარეზერვო ფაზის კაპიტალური შეკეთება დასრულდა, ერთ თვეში დასრულდება ელექროგადამცემი ხაზი "ლიახვი-220"-ის საჰაერო ამომრთველის შეკეთება. გაფორმებულია ხელშეკრულება კონტრაქტორთან "ქსანი-500"-ში რეაქტორების შეკეთებაზე. ქვესადგურ "დიდუბე 220"-ში დაზიანდა 35 კილოვოლტის ტრანსფორმატორი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები მისი ახლით ჩანაცვლების შესახებ. ბ-ნ თემურ მეტრეველის განცხადებით, "ქსანი-500"-ში დასრულდა აღრიცხვის კარადების მონტაჟი, სადაც წლის ბოლომდე, პროგრამის თანახმად, "ალფა-მრიცხველები" დამონტაჟდება. "ქსანი-500"-ში "სიმენსმა" ახალი საკომპრესორო მეურნეობა დაამონტაჟა, ასევე მოხდა ახალი საакумულატორო მეურნეობის მონტაჟი, როგორც 500 კილოვოლტიან, ასევე 220-კილოვოლტიან მხარეს.

შემოდგომა-ზამთრის პერიოდს მომზადებული ხვდება დასავლეთის ქსელიც. დასავლეთის ქსელის მენეჯერის ბ-ნ თემურ მშვიდობაძის კომენტარით, 500 კილოვოლტის მაღალი ძაბვის ქვესადგურში "დიდი ზესტაფონი" 500-კილოვოლტიანი გამანაწილებელი მოწყობილობა მთლიანად რეაბილიტირებულია და ჩართულია საპროექტო სქემით. Iვლისის თვეში ექსპლუატაციაში შევიდა ახალი ავტოტრანსფორმატორი N1-200 მვა სიმძლავრის. მთლიანად იცვლება 220 კილოვოლტის გამანაწილებელი მოწყობილობის საკომუტაციო მეურნეობა (მათ შორის: ზეთიანი ამომრთველები, გამთიშველები, დენის და ძაბვის ტრანსფორმატორები და ა.შ.). 17 ოქტომბერს 220-კილოვოლტიან ელექტროგადამცემი ხაზები "სურამი", "აჯამეთი-1" და "ფერო" ჩაირთო საკუთარ ელეგაზურ ამომრთველებზე. მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს "დიდი ზესტაფონის" 110 კილოვოლტის გამანაწილებელ მოწყობილობებზე, სადაც საჰაერო ამომრთველები თანამედროვე ელეგაზური ამომრთველებით იცვლება. მიმდინარე წლის ნოემბრის შუა რიცხვებში კი ქსელში ახალი საакумულატორო ბატარეების მონტაჟი დასრულდება. წლების განმავლობაში შემოუღობავი იყო "დიდი ზესტაფონის" 220 და 110 კილოვოლტის გამანაწილებელი მოწყობილობები, ეს სამუშაო დაწყებულია და ამ წლის ბოლომდე დასრულდება.

მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ენერგოსისტემისთვის ერთ-ერთ საკვანძო 220 კილოვოლტიან ქვესადგურში "დიდი ქუთაისი", სადაც 220 კილოვოლტის გამანაწილებელ მოწყობილობებზე მთლიანად შეიცვალა საჰაერო ამომრთველები ელეგაზურები ამომრთველებით. ამავე ქვესადგურის 110 კილოვოლტის გამანაწილენელი მოწყობილობების საჰაერო ამომრთველები ელეგაზურებითშეიცვალა ორი მინაერთის გარდა, რომლის მონტაჟი მომავალ წელსაა დაგეგმილი. "დიდ ქუთაისში", ასევე ექსპლუატაციაში შევიდა ახალი ტიპის 110-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზების სახაზო გამთიშველები 4 მინაერთზე. .ამ ეტაპზე 220 კილოვოლტის ქვესადგურებში "ფერო" და "მენჯი" მიმდიმარეობს 10-110 კილოვოლტიანი გამანაწილებელი მოწყობილობების და მართვის ფარის გადახურვითი სამუშაოები. ბ-ნ თემურ მშვიდობაძის გადმოცემით, ქვესადგურში "ფერო" წლების განმავლობაში ჩამოდიოდა წყალი, რაც მეორადი საакумულატორო საშუალებების ყალბად მუშაობისა და ავარიების მიზეზი იყო. 220 კილოვოლტიან ქვესადგურში "მენჯი" მიმდინარე წელს ასევე გათვალისწინებულია 220-110-35 კილოვოლტის გამანაწილებელი მოწყობილობების ტერიტორიის შემოღობვა და ამომრთველების კაპიტალური შეკეთება. ასევე დაგეგმილია ქვესადგურებში: "ზუგდიდი" და "დიდი ქუთაისი" ახალი ტიპის საакумულატორო ბატარეის მონტაჟი და მისი ექსპლუატაციაში გაშვება.

220 კილოვოლტის ქვესადგურში "წყალტუბო" კაპიტალურად შეკეთდა 110 კილოვოლტიანი გადამცემი ხაზები "მაღლაკი-1" და "თერნალი, ასევე 220 კილოვოლტიან ქვესადგურში "დიდი ბათუმი" 110 კილოვოლტის სალტეთაშორისი ზეთიანი ამომრთველები. სარემონტო სამუშაოები ტარდება 220 კილოვოლტის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებზე - "სურამი", "ლიახვი", "კოლხიდა-1" და "კოლხიდა-2", რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ენერგოსისტემის მდგრადობას და გაზრდის მის იმედიანობას. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველო რუსეთიდან ელექტროენერგიას აღარ იღებს

საქართველომ რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი შეწყვიტა. როგორც სააქციო საზოგადოება "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" იუწყებიან, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზიდან - "კავკასიონიდან" 20 მეგავატი ელექტროენერგიის მიღება 25 ოქტომბერს შეწყდა. როგორც ცნობილია, ამ რაოდენობის ელექტროენერგიის შესყიდვის თაობაზე ხელშეკრულება ქართულ მხარეს რუსულთან 4 ოქტომბრიდან სწორედ 25 ოქტომბრამდე ჰქონდა დადებული. სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში აცხადებენ, რომ საქართველოში რუსეთიდან ელექტროენერგიის შემოტანა აუცილებელი აღარ არის, რადგან ქვეყნის ენერგოსისტემა ადგილობრივი რესურსებითაც საკმარისად მარაგდება. მათ შორის არის "ენგურჰესის" მესამე ბლოკი, რომელიც გასულ კვირას ჩაირთო. სრული რეაბილიტაციის შემდეგ ეს ბლოკი 260 მეგავატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. "საქართველოში ენერგოდეფიციტი არც აქამდე ყოფილა. ელექტროენერგიის იმპორტი რუსეთიდან მხოლოდ ქვეყნის ენერგოსისტემის სტაბილური მუშაობისთვის ხორციელდებოდა". **მედიანიუსი**

## "თელასი" გამოშვებული აქციებს 1 პროცენტსაც ვერ ყიდის

საქართველოს საფონდო ბირჟის ინფორმაციით, სააქციო საზოგადოება "თელასის" აქციებზე დაბალი ფასისის მიუხედავად, მოთხოვნილება არ არის. ბირჟის მონაცემებით, "თელასის" ერთი აქციის ღირებულება 1,6 ლარს შეადგენს. მათივე ინფორმაციით, სულ თელასის მიერ გამოშვებულია 81 მილიონ 147 ათას 846 აქცია, რომელთაგან გაყიდულია მხოლოდ 500 ცალი, რომელზეც გარიგება მიმდინარე წლის 13 ივლისს შედგა. როგორც "ბირჟის" ექსპერტები აცხადებენ, "თელასის" აქციებზე მოთხოვნის არარსებობა, აქციის მაღალ ფასს, კაპიტალის წარმომავლობასა და ნაკლებად საიმედოობას უკავშირდება. თუმცა, მათივე თქმით, შესაძლოა, ეს განპირობებული იყოს არასწორი მარკეტინგით. საფონდო ბირჟაზე არსებული რეიტინგის მიხედვით, რაც აქციების გაყიდვების რაოდენობასა და სიხშირეს უკავშირდება, "თელასი" იმ ემიტენტებს შორის აღმოჩნდა, რომელზეც მოთხოვნილება თითქმის არ არის. მაგალითად, ასეთია შპს "ჩარხმშენებელი" და "ქარხანა ელექტროძრავა". **ჯი-ეიჩ-ენი**

# 200 კითხვა ვარსკვლავის მოსაპოვებლად




ბესო გულაშვილის ფოტო

პირველი გვერდიდან

ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიგი ყუფარაძე ამბობს, რომ თბილისში დაახლოებით 80 სასტუმროა. მთელ საქართველოში კი, შარშანდელი მონაცემებით, დაახლოებით, 10 000 ნომერი იყო. სტანდარტით, სასტუმროდ ითვლება ის სახლი, სადაც ათი და მეტი ნომერია, თუ ნაკლებია, ეს უკვე სასტუმროს ტიპის სახლი, ე. წ. "გესთ ჰაუსია".

1989 წლის მონაცემებით, საქართველოში იყო 150 000 საწოლი ადგილი. აქედან 103 ათასი - საკურორტო ობიექტებზე და დანარჩენი - ტურისტულ ობიექტებზე.

1993 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ ამ სისტემის სრული პარალიზება მოხდა. სასტუმროების უმრავლესობაში დევნილები შეასახლეს. მაშინ თბილისში დარჩა "შერატონი", ბათუმში "ინტურისტი" და გუდაურში "მარკო პოლო". ყუფარაძის თქმით, მხოლოდ 1995 წლიდან არსებობს შემოსული ტურისტების სტატისტიკა - 85 000 ტურისტი და ვიზიტორი წლის განმავლობაში. ეს მცირე რაოდენობა "შერატონში" და ცოტა მოგვიანებით აშენებულ "ვილა ბერიკაში" თავსდებოდნენ. ცოტაოდენი დროის შემდეგ ტურისტების რაოდენობამ საგრძნობლად იმატა და კერძო ინვესტიციებით სასტუმროების მშენებლობაც დაიწყო. 2004 წლამდე 8000 საწოლი ადგილი შეიქმნა, თუმცა იმის გამო, რომ 2001-2002 წლებში იყო გარკვეული ვარდნა, სასტუმროების შენების არებული ტემპი დროებით შეჩერდა და მხოლოდ 2003 წლიდან გახდა ისევ ინტენსიური.

ყუფარაძე ამბობს, რომ ახალი მშენებარე სასტუმროების დასრულებას ჰაერივით ელოდებიან, რადგან ტურისტების რიცხვი საგრძნობლად გაზრდილია. ყაზახური კაპიტალი აჭარის 22 სასტუმროში ჩაიდო. ბათუმის "ინტურისტში" თურქეთის მენეჯმენტი ხორციელდება. ლიკანიც ასევე ყაზახებმა იყიდეს. გუდაურის "მარკო პოლოშიც" ყაზახური, კერძოდ, "სილქ როუდ ჯგუფის" კაპიტალია.

### რა კითხვებზე მოუწევთ სასტუმროს მეპატრონეებს პასუხის გაცემა?

ზემოთ ნახსენები 200 კითხვა, რომელიც შეფასების სისტემის შემადგენელი მთავარი კომპონენტია, ინტერნეტში გამოქვეყნდება და ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება. ყველა მსურველს შეეძლება მისი შევსება, კომპიუტერი თავად დათვლის, ვინ რამდენ ქულას მიიღებს და ქულათა დადგენილი რაოდენობის მიხედვით მიიღებს ვარსკვლავებს. როგორც ტურიზმის დეპარტამენტში განგვიმარტეს, მსოფლიოში რაიმე ერთიანი სტანდარტი არ არსებობს და ამ სფეროს ყველა სახელმწიფო თავად არეგულირებს.

"200-ვე კითხვას ვერ ჩამოვთვლი, ცხადია, მაგრამ სასტუმროს, რომელსაც მეტი ვარსკვლავის პრეტენზია აქვს, უნდა ჰქონდეს აუზი - ღია და დახურული, ლიფტი, სხვადასხვა ტიპის რესტორნები, რამდენიმე ტიპის ბარი, უნდა ჰქონდეს რბილი იატაკი ნომერში და დერეფანში, ნომრის ფართი უნდა იყოს შესაბამისი, უნდა იყოს რამდენიმე ტიპის ნომერი, საწოლები სხვადასხვა ზომის, აუცილებლად მატრასი და არა ლეიბი, სააბაზანოში სარკე, რომელიც თბება, რომ არ დაიორთქლოს, რამდენიმე სახის პირსახოცი, მათი წონა უნდა იყოს განსაზღვრული, მაკიაჟის კუთხე, სამფრთიანი სარკით, კარი უნდა იღებოდეს შიგნით აბაზანაში, რათა ადამიანი ცუდად რომ გახდეს, ადვილად შეანგრიო. სათადარიგო გასასვლელები, კედლის სისქე, გათბობა-ვენტილაცია, მანქანის გასაჩერებელი, საბუღალტრო აღრიცხვა, დაჯავშნის სისტემები. აბაზანაში - ზღვის მარილი, ტუალეტის ქაღალდი ორმაგი, მინი-ბარი, ტაქსი აეროპორტიდან უფასო... მოკლედ, ბევრი კითხვაა," - ამბობს გიგი ყუფარაძე.

რამდენიმე სასტუმრომ ეს კითხვარი უკვე შეავსო. იმ შემთხვევაში, თუ სასტურომ გაიარა ეს "გამოცდა" და მიიღო ერთი ვარსკვლავი, მაგრამ არ აკმაყოფილებს, ტურიზმის დეპარტამენტი მას აძლევს შანსს, გამოასწოროს პირობები და თავიდან შეავსოს. მანამდე კი საიდუმლოდ რჩება მისი ვარსკვლავების რაოდენობა. დეპარტამენტში მიიჩნევენ, რომ სასტუმროებისთვის ეს ერთგვარი სასწავლებელი ტესტიცაა.

შეფასების სისტემის ერთი დადებითი მხარე ისიც არის, რომ ყველა სასტუმროს მიერ შევსებული ეს კითხვარი ნებისმიერი მსურველისათვის ღია იქნება და ინტერნეტის მეშვეობით ყველას შეეძლება, ნახოს მის მიერ არჩეულ სასტუმროში რა მომსახურება არის და რა - არა. ამ კითხვარის შევსება იძულებითი არ იქნება, მაგრამ საიტზე ასეთი სასტუმრო ვერ მოხვდება, ხოლო ნორმატიული ბაზით მათ აეკრძალებათ ვარსკვლავის კი არა, ვარსკვლავის მსგავსი რამის ჩამოკიდებაც. მათ მოუწევთ დაირქვან, მაგალითად, ბიზნეს-კლასის სასტუმრო სახლი ან რამე მსგავსი, ოღონდ ვარსკვლავების გარეშე.

დღეს 2 ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა, ოთხიანი - ორი-სამი, ხოლო უმრავლესობა - ორ და სამვარსკვლავიანი. სასტუმროს ბიზნესი კი სულ რამდენიმე ქალაქშია შედარებით აწყობილი: თბილისში, ბათუმში, გუდაურში, ბაკურიანში, ბორჯომში, ქობულეთში, ურეკში, თელავში და სვანეთში.

თბილისში ჯერჯერობით ყველაზე კეთილმოწყობილი "შერატონი" და "მარიოტია". ფასებიც შესაბამისად იქ უფრო მაღალია. თუმცა, ზოგადად, თბილისში სასტუმროები თურმე გაცილებით იაფია, ვიდრე, ვთქვათ, ბაქოში ან კიევში.

### ლონდონური მაგალითი - სასტუმროს კარში შესვლიდან გასვლამდე

ბრიტანეთში ამ საქმის დიდი გამოცდილება არსებობს. მსოფლიოში ცნობილი ქსელის სასტუმროები ლონდონში ყოველ ფეხის ნაბიჯზეა. "ჰილტონი", "მარიოტი", "თისტლის" ქსელი, ასევე კერძო ხუთვარსკვლავიანი სასტუმროები, რომლის ძირითადი მფლობელებიც არაბები არიან.

სასტუმროს ვარსკვლავი და ფასი იქაც სასტუმროს ადგილმდებარეობით განისაზღვრება. მთავარია სერვისი - შესვლიდან სასტუმროს დატოვებამდე.

4-ვარსკვლავიან სასტუმროში მისვლისას კარი მეკარემ უნდა გაგიღოს, ჩანთა ჩამოგართვას, მებარგულმა კი მიგითითოს მიმღებისაკენ. თუ იქ რიგია, მაშინ უნდა გიჩვენოს დასასვენებელი ადგილი, სადაც ჩაის, ყავის დალევაა შესაძლებელი.

კლიენტს აძლევენ გასაღებს, უხსნიან უსაფრთხოების წესებს - ვთქვათ, ცეცხლის შემთხვევაში სად არის ევაკუაციის ადგილი, ასწავლიან, სად არის რესტორანი, სთავაზობენ გაზეთების სერვისს. ეკითხებიან, დასჭირდება თუ არა გაღვიძება დილით. დამატებითი ინფორმაცია კლიენტმა კონსიერჟისგან უნდა მიიღოს, რომელმაც, ფაქტობრივად, ყველაფერი უნდა იცოდეს.

სტუმარს ბარგი ნომერში უნდა დახვდეს.

რა უნდა იყოს 4-ვარსკვლავიან სასტუმროში? - ელექტროლოქი, რომელიც უნდა აფიქსირებდეს, მინიმუმ ერთი თვის მანძლზე ვინ შესულა და ვინ გასულა ოთახიდან. ყველას აძლევენ ახალ ელექტრონულ გასაღებს, წინა სტუმარმა შემთხვევით რომ არ შეინახოს და არ გამოიყენოს. კარზე ხანძრის შემთხვევაში ევაკუაციის გეგმაა. კარს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სათვალთვალო.

როგორც კი სტუმარი ოთახში შევა, ბარგის დასადები ადგილი უნდა დაინახოს.

დახვდეს კარადა, მინიმუმ, 8 საკიდით. კარადაში გასაშლელი საუთაო მაგიდა და უთო. სეიფი - ასევე კარადაში, რომელიც სტუმრის კოდის შეყვანის შემდეგ აქტიურდება.

მაგიდა კედელთანაა მიბჯენილი. იქვეა მინიბარი, ის ავტომატურად არის შეერთებული კომპიუტერთან, რომელიც აფიქსირებს, თუ რას გამოიყენებს სტუმარი.

საჭიროა ორი ჭიქა ღვინის, ორი წყლისთვის, ყინულის პატარა თერმოსი. უმრავლეს სასტუმროებში დერეფნებში დგას ყინულის აპარატი, საიდანაც შეიძლება კლიენტმა ყინულის მარაგი შეივსოს. ცხადია, არის ტელეფონი, ინტერნეტის კაბელი, ტელევიზორი - კლავიატურით, შესაძლებელია მისი კომპიუტერად გამოყენება. ფილმები, თამაშები - ეს ყველაფერი ფასიანი სერვისია.

მაგიდის წინ უნდა იყოს სარკე, უჯრაში ფენი, იქვე მენიუ. "ლონდრის" (გაუთოება, გარეცხვა) მომსახურება და ფასები, ცელოფნის პარკი, სადაც საჭიროების შემთხვევაში გასარეცხ ტანსაცმელს ჩაალაგებენ.

საწოლი ორადგილიანია. არის "დაბლი" და "კინგ საიზი". ერთსაწოლიანი ასეთ სასტუმროებში ხმარებიდან ამოღებულია. საწოლის ორივე მხარეს ორი დაბალი უჯრიანი მაგიდა და ტელეფონებია. აუცილებლად ფანქარი და ფურცელი. ტელეფონზეა მითითებული ნომრის ტელეფონი და სხვა შიდა ნომრები. ერთ უჯრაში ბიბლია დევს, მეორეში - "ყვითელი ფურცლების" ცნობარი.

ყავის დასალევი პატარა მაგიდა ორი სავარძლით, ყავის მადუღარა, ყავა, ჩაი, რაც უფასოა.

აბაზანაში: ტუალეტი ცალკე შხაპით. აბაზანა პირსახოცის გადასაკიდით, რომელიც უნდა ცხელდებოდეს. ორი დიდი პირსახოცი, ორი ხელის პირსახოცი, ორი პატარა პირსახოცი; ორი გელი, ორი საპონი, ორი შამპუნი სასტუმროს ემბლემით, ორიც ჭიქა. ტელეფონი და ტელევიზორის დინამიკები. ორი ხალათი, ორი ერთჯერადი ფლოსტი, ვანის ფენი, საპარსი მოწყობილობა, საპარსად სპეციალური სარკე.

უსაფრთხოებისთვის ნომერში დგას ცეცხლის დეტექტორი. ლონდონის სასტუმროებში არ შეიძლება ფანჯარა 10 მილიმეტრზე მეტად იღებოდეს.

5-ვარსკვლავიან სასტუმროში უკვე ყურადღება ექცევა დალაგების მანერას. მაგალითად, საპნის დადებას თავისი წესი აქვს, პირსახოცის ჩამოკიდებას, მის სიფაფუკეს, მომსახურების სისწრაფეს.

თუ ნომრიდან შეკვეთილ საუზმეს ნახევარი საათი დააგვიანდა, ის კლიენტს უფასოდ ეკუთვნის.

ასეთ სასტუმროებს მინიმუმ ორი პენტ ჰაუზი - საპრეზიდენტო აპარტამენტი უნდა ჰქონდეს. ეს უკანასკნელი ლონდონში 3000 ფუნტი ღირს. ჩვეულებრივი ნომრების ფასი კი 150 ფუნტიდან იწყება.

ბრიტანულ სასტუმროებში კიდევ ერთი სიახლეა (საუბარია 5-ვარსკვლავიან სასტუმროებზე) ბარებში მონტაჟდება საკმაოდ ძვირადღირებული, ჟანგბადის კონდიციონერი, რომელიც უბერავს სუფთა ჟანგბადს - სტუმარი ნაკლებად თვრება და ბევრს სვამს, ბარი კი ამით იგებს.

ბრიტანეთში თითქმის ყველა სასტუმროში აკრძალეს მოწევა. ამისათვის გამოყოფილია მხოლოდ ერთი სართული.

ორ თვეში ერთხელ კი ყველა სასტუმროში მიდის ადამიანი, როგორც რიგითი კლიენტი, მაგრამ სინამდვილეში "მისთერ-გესთი", შესაბამისი ორგანოდან წარგზავნილი, რომელიც სარგებლობს ყველა მომსახურებით, ესაუბრება ყველას, დამლაგებლიდან მენეჯერამდე, რომ შეამოწმოს, ვინ როგორ მუშაობს. ორი კვირის შემდეგ კი გენერალური მენეჯერი იღებს ანგარიშს, სადაც ყველაფერია აღწერილი...რაც მეტია შენიშვნა, მით უკეთესად მოდის ფორმაში ესა თუ ის სასტუმრო...

ეს გამოცდილება, წესით, მალე საქართველოშიც უნდა დაგროვდეს.

## კომპანია "ყაზბეგს" ახალი ოფიციალური ვებსაიტი აქვს

ვებსაიტზე განთავდა ინფორმაცია "ყაზბეგის" ბიზნეს-ჯგუფში შემავალი კომპანიების შესახებ და პროდუქციის კატალოგი.

ლუდის მოყვარულებს შეეძლებათ სრული ინფორმაცია მიიღონ "ყაზბეგის" ლუდის ბრენდების, მათი დამზადების ტექნოლოგიის და მახასიათებლების შესახებ. ასევე "ყაზბეგის" სასტუმროების შესახებ ბაკურიანსა და სტეფანწმინდაში.

როგორც ინტერპრესსნიუსს "ყაზბეგის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა თეა სხიერელმა განუცხადა: ძკორპორაციული ვებგვერდი მრავალფეროვანია. ლუდის ისტორიით დაინტერესებულ პირებს ვებგვერდი სთავაზობს ქართველი ეთნოგრაფების მიერ მომზადებულ უნიკალური ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნარკვევს საქართველოში ლუდის წარმოშობის და ისტორიის შესახებ. ეს ნარკვევი უხვადაა ილუსტრირებული.

მსგავსი კვლევა პირველია საქართველოში. ის "ყაზბეგის" ინიციატივით და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების გამგის, პროფესორ ელდერ ნადირაძის ხელმძღვანელობით ჩატარდა. უახლოეს მომავალში კომპანია ძყაზბეგს" განზრახული აქვს საქართველოში ლუდის წარმოების შესახებ წიგნის გამოცემა, რომელსაც საფუძვლად სწორედ ეს ნარკვევი დაედება."

საიტზე განთავსებულია ფოტო და ფლეშ ტექნოლოგიით მომზადებული ვიდეო მასალა. ვებგვერდი ორენოვანია-ქართული და ინგლისური.

"ყაზბეგის" ბიზნეს ჯგუფის ახალი ვებსაიტი კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა კომპანია **ITDC**-სთან ერთად მოამზადა.

კომპანია "ყაზბეგს" ახალი ოფიციალური ვებსაიტის მისამართია: www.kazbegi.com

## ელექტროსისტემამ პირდაპირი კონტრაქტები გააფორმა

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ პირდაპირი კონტრაქტები გააფორმა 15-ზე მეტ ორგანიზაციასთან. კონტრაქტები ელექტროსისტემის ახალი წესების მიხედვით გაფორმდა. კონტრაქტორ ორგანიზაციათა შორისაა: "თელასი", კახეთისა და აჭარის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიები, გაერთიანებული ენერგოკომპანია და სხვა. როგორც სსე-ს გენერალური დირექტორი ჯო კორბეტი განმარტავს, სისტემისთვის პირდაპირ კონტრაქტებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. "სსე-სთვის პირდაპირი კონტრაქტები ფინანსური ნაკადის ზრდასთან პირდაპირაა დაკავშირებული. ამ ეტაპზე კომპანია სისტემის მართვის გაუმჯობესებაზე და ავარიებისა და დაზიანებების რიცხვის მინიმუმამდე შემცირებაზე ზრუნავს," - აცხადებს ჯო კორბეტი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ვემატელს" ლიცენზიის მიღებაზე უარი უთხრეს

შპს "ვემატელს" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მიღებაზე უარი უთხრეს. როგორც კომისიაში აცხადებენ, მის ნაცვლად ლიცენზიას შპს "ორბელი" მიიღებს.

"ვემატელმა" 2006 წლის 8 სექტემბერს ბათუმში 16XXX-19XXX (4000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის ლიცენზიის მისაღებად გამართულ აუქციონში გაიმარჯვა. კომპანიამ თანხმობა განაცხადა, ამოწურვადი რესურსით სარგებლობისთვის 202 ათას 500 ლარი გადაეხადა. თუმცა, კომისიაში აღნიშნავენ, რომ შპს "ვემატელმა" ერთი თვის ვადაში, 2006 წლის 8 ოქტომბრამდე არ გადაიხადა საფასურის 30 პროცენტი, როგორც ამას კომისიის დებულება მოითხოვდა. კომისიამ გამარჯვებულად შპს "ორბელი გამოაცხადა. კომპანიამ ლიცენზიის მისაღებად აუქციონში კიდევ ერთ მონაწილესთან, "ტელენეტთან" შედარებით მეტი თანხა - 202 ათას 200 ლარი დაასახელა. "ორბელმა" საფასურის 30 პროცენტი, 60.660 ლარი, 13 ნოემბრამდე უნდა გადაიხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგიც თავისი ყოფილი კონკურენტის, "ვემატელის" ბედს გაიზიარებს. "ვემატელს" კი ბეს სახით გადახდილი თანხა - 600 ლარი აღარ დაუბრუნდება. **ინტერპრესნიუსი**

## საფონდო ანალიზი:

**26 ოქტომბრის საფონდო ვაჭრობები იაპონიაში მთავარი ინდექსის Nikkei გაზრდით დასრულდა.**

26 ოქტომბრის საფონდო ვაჭრობები იაპონიაში მთავარი ინდექსის Nikkei გაზრდით დასრულდა.

ბაზარზე პოზიტიური გავლენა საექსპორტო კომპანიებთან დაკავშირებულმა სიახლეებმა მოახდინა. იაპონური პროდუქციის გასაღების უმნიშვნელოვანესი ბაზარი ამერიკის შეერთებული შტატებია, ამიტომაც ამერიკაში დაფიქსირებული ყველა დადებითი მაკროეკონომიკული ტენდენცია იაპონიის საფონდო ბაზარზე უმალ აისახება. გუშინ ა.შ.შ.-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის მხრიდან საბაზისო საპროცენტო განაკვეთის უცვლელად დატოვების ფაქტმა, იაპონიაში ინვესტორები გაამხნევა. მათ ჩათვალეს, რომ ამერიკის ეკონომიკური ზრდის ტემპების კლება უახლოეს მომავალში ნაკლებად მოსალოდნელი იქნებოდა. ყოველივე ამან კი ექსპორტზე ორიენტირებული იაპონური კომპანიების კოტირებების ზრდაზე დადებითი ასახვა ჰპოვა.

**გაზრდა:**

**მაღალტექნოლოგიური სექტორი**

ბრენდ **Panasonic**-ის მწარმოებლის **Matsushita Electric Industrial Co. აქციები გაძვირდა (+1,6%).** ციფრული ვიდეოკამერების მწარმოებელი მსოფლიო ლიდერის **Canon Inc. -ის** კოტირება გაიზარდა**(+1,7%).**

**საავტომობილო სექტორი**

**კომპანიის Toyota Motor Corp.** აქციების ფასი **0,6%-ით გაიზარდა**. გაიზარდა Honda Motor Co.-ის კოტირებაც. რისი მთავარი მიზეზიც, მის მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიში გახდა. რომლის თანახმადაც ამ კომპანიის წმინდა მოგება 2006-2007 ფინანსური წლის პირველ ნახევარში წლიური გაანგარიშებით 11% -ით გაიზარდა 2,3 მლრდ დოლარამდე, ხოლო ამონაგები - 13,7% -ით 44 , 37 მლრდ დოლარამდე. შედეგად **Honda-ს** აქციები დღევანდელ სავაჭრო სესიაზე **2,5%-ით გაძვირდა.**

**შემცირება:**

**მაღალტექნოლოგიური სექტორი**

ნახევარგამტარების იაპონიაში სიდიდით მესამე მწარმოებლის **NEC Electronics Corp.-ის** ფასიანი ქაღალდები **10%-ით გაიაფდა**, რადგან ეს კომპანია 2006 წლის დასასრულისთვის წმინდა ზარალის ზრდას პროგნოზირებს.

**26 ოქტომბრის რეზულტატი:**

ინდექსი **Nikkei** გაიზარდა112,30 პუნქტით **(+0,67%)** და დაფიქსირდა 16811,60 ნიშნულზე.

**ამერიკული დოლარის კურსი იენთან შემცირდა 0,36 იენით და დადგინდა 118,88 იენ./დოლარ. დონეზე.**

**დღეს, 26 ოქტომბერს IPE Brent Index 141 საბაზისო პუნქტით გაიზარდა**

IPE Brent Index -მა 26 ოქტომბერს 6073 საბაზისო პუნქტი (საბ.პ.) შეადგინა. მაჩვენებელი ასახავს ჩრდილოეთის ზღვის spot სანავთობო მარკების ნაკრების BFO (Brent, Forties და Oseberg) ფასებს , რომელიც დადგენილია, მათი 21 სავაჭრო დღის განმავლობაში მიწოდების პირობით. აღნიშნული ინდექსი დღევანდელი მდგომარეობით 141 საბ.პ.-ით არის გაზრდილი(+ 2,4%).

ქვემოთ მოყვანილია უკანასკნელი ხუთი სესიის მანძილზე დაფიქსირებული IPE Brent Index-ის მნიშვნელობები:

- 26 ოქტომბერი - 6073; - 25 ოქტომბერი- 5932; - 24 ოქტომბერი- 5889; - 23 ოქტომბერი- 6057; - 20 ოქტომბერი- 6000.

IPE Brent Index-ის მნიშვნელობა, რომელიც უახლოესი მისაწოდებელი თვის სანავთობო ფიუჩერსის საკონტრაქტო პერიოდის დასრულებიდან მეორე დღეს დგინდება, განსაზღვრავს დადებული გარიგებების საბოლოო გაანგარიშების ფასს.

IPE Brent Index-ის გამოთვლის მეთოდიკა ითვალისწინებს სანავთობო მარკებზე Brent, Forties და Oseberg წინა სავაჭრო დღეს დადებული გარიგებების ფასებს. ინდექსის ერთი საბაზისო პუნქტით ზრდა ნავთობის ფასის 0,01 დოლარ./ბარელ. მატებას შეესაბამება.

**სანავთობო ფიუჩერსების Middle East crude oil ფასი დღეს 2,8%-ით გაიზარდა (26 ოქტომბრის ვაჭრობის შედეგი)**

სანავთობო ფიუჩერსის Middle East crude oil ფასი ტოკიოს სასაქონლო ბირჟაზე (რOCOM) დღეს არსებითად გაიზარდა . **26** ოქტომბრის სავაჭრო სესიაზე სააღრიცხვო ფიუჩერსის (დეკემბერი) ოფიციალური ფასი 2,8%-ით აიწია და 44,610 (+1,200) ათასი იენი /კილოლიტრი (59,44 დოლარ.//ბარელ.) დონეზე დაფიქსირდა.

სააგენტო **Platts**-ის გაანგარიშებების თანახმად, **26 ოქტომბრის** მდგომარეობით **spot ნავთობის Middle East crude ფასმა** 56,48 **დოლარი/ბარელი (**42,390 ათასი იენი /კილოლიტრი**) შეადგინა**.

**Middle East crude oil** სანავთობო მარკების **Dubai და Oman** გაერთიანებულ მაჩვენებელს წარმოადგენს და გამოიყენება, როგორც ახლო აღმოსავლეთის სანავთობო ბაზრის **საფასო ეტალონი**. ტოკიოს სასაქონლო ბირჟაზე **Middle East crude oil - ის ფიუჩერსებით ვაჭრობა 2001 წლის სექტემბრიდან მიმდინარეობს**. კონტრაქტი სააღრიცხვო ტიპისაა, შესაბამისად ფიუჩერსით ნავთობის ფიზიკური მიწოდება გათვალისწინებული არ არის.

## ნავთობზე მსოფლიო ფასების ზრდამ გუშინ ოქტომბრის რეკორდს მიაღწია

25 ოქტომბერს სანავთობო ფიუჩერსების ფასები მკვეთრად აიწია. ერთ დღეში ერთი ბარელი ნავთობი $2 -ზე მეტად გაძვირდა, ოქტომბრის დასაწყისიდან დღემდე ასეთი მაღალი ფასი არ დაფიქსირებულა

გუშინ გავრცელებულმა ცნობამ იმის შესახებ, რომ ა.შ.შ.-ში ნავთობის, ბენზინის და მძიმე დისტილატების ყოველკვირეული რეზერვები საგრძნობლად შემცირდა, ბაზარზე 25 ოქტომბერს ნავთობზე ფასების ზრდას ხელი მნიშვნელოვნად შეუწყო .

სანავთობო ფიუჩერსების ოფიციალურმა ფასებმა 25 ოქტომბერს შეადგინა:

- ნიუ იოკში New York Mercantile Exchange-ზე (NYMEX) სანავთობო ფიუჩერსის Light, Sweet Crude Oil (დეკემბერი) ფასი 2 დოლარით და 5 ცენტით (+3,5%) გაიზარდა და დადგინდა 61,40 დოლარ./ბარელ. დონეზე. ფასები ცალკეული გარიგებების მიხედვით მოძრაობდა 59,23-61,65 დოლარ./ბარელ. დიაპაზონში;

-ლონდონში InterContinental Exchange Futures-ზე (IჟE Futures) სანავთობო ფიუჩერსის IPE e-Brent Crude Futures Electronic (დეკემბერი) ფასი გაიზარდა 2 დოლარითა და 19 ცენტით (+3,7%) და დაფიქსირდა 62,05 დოლარ./ბარელ. ნიშნულზე. ფასები ცალკეული გარიგებების მიხედვით მოძრაობდა 59,75-62,19დოლარ./ბარელ. დიაპაზონში.

# სასტუმრო, რომელიც ააშენა ჰილტონმა

პირველი გვერდიდან







### გაკოტრებული ლეიტენანტი

კონრად ნიკოლსონ ჰილტონი დაიბადა 1887 წლის 25 დეკემბერს ნიუ მექსიკოს შტატის ქალაქ სან ანტონიოში, ემიგრანტების, ნორვეგიელი მამისა და გერმანელი დედის ოჯახში. მამილო ავგუსტს მაღაზია ჰქონდა, რომლის შემოსავალი რვაშვილიან ოჯახს თავდაპირველად ჰყოფნიდა, მაგრამ აშშ-ს ეკონომიკის კრიზისმა ჰილტონებზეც მძიმე გავლენა მოახდინა და 1907 წელს ოთახების გაქირავება მშობლებს სწორედ 20 წლის კონრადმა ურჩია.

ადგილობრივი კოლეჯის დასრულების შემდეგ კონრადი ნიუ მექსიკოს სამხედრო ინსტიტუტში ჩაირიცხა, სადაც სამთო ინჟინრის კვალიფიკაცია მიიღო. სწავლის დასრულების შემდეგ იგი შინ დაბრუნდა და ოჯახურ ბიზნესში ჩაება, ხოლო როცა მამამისი შტატის საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატად აირჩიეს, მისი თანაშემწე გახდა.

1917 წელს, როცა აშშ პირველ მსოფლიო ომში ჩაება, კონრადი უმალ მოხალისეთა რიგებში ჩაეწერა და ომის დასრულებამდე ევროპაში იბრძოდა, სადაც ლეიტენანტის ჩინი მიიღო. ამასობაში მამამისი ავგუსტი ავტოკატასტროფაში გარდაიცვალა და სამშობლოში დაბრუნებულმა ნაომარმა კონრადმა დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო.

თავდაპირველად ჰილტონმა ბანკი გახსნა, მაგრამ საქმე ცუდად წაუვიდა და ერთი წლის შემდეგ გაკოტრდა. შემორჩენილი 5 ათასი დოლარით კონრადი ტეხასის შტატის პატარა ქალაქ სისკოში გადაბარგდა, სადაც უიღბლო ბანკირმა პატარა სასტუმრო "მოლბი" შეიძინა, რისთვისაც კიდევ 15 ათასი ისესხა.

მის კლიენტურას, ძირითადად, მახლობლად მდებარე ნავთობის საბადოების მუშები შეადგენდნენ, რომლებიც ღამის გასათევს მხოლოდ 8 საათით, 1-დან 2,5 დოლარად ქირაობდნენ. მოკლედ, "მოლბის" სასტუმრო ნაკლებად ეთქმოდა, მაგრამ ჰილტონმა მაინც ფხა გამოიჩინა, საძინებელი ადგილების რაოდენობა გაზარდა, ხოლო ვესტიბიულში ჟურნალ-გაზეთებითა და ათასგვარი წვრილმანით სავაჭრო ფარდულები მოაწყო.

ასე რომ, კონრადმა საქმე ააწყო, ვალი გაისტუმრა და ერთი წლის შემდეგ ფორტ-ვორტში კიდევ ერთი პატარა სასტუმრო შეიძინა. 1924 წლისათვის იგი უკვე ოთხი სასტუმროს მფლობელი იყო და საკმარისი ფული გააჩნდა, რომ კიდევ ერთის "ნულიდან" აშენებაზე ეფიქრა.

### პირველი "ჰილტონი" და სრული კრახი

კონრადმა პროვინციიდან თავის დაღწევა და თავისი სახელობის პირველი სასტუმროს ტეხასის დედაქალაქ დალასში აშენება გადაწყვიტა. 325-ნომრიანი Dallas Hilton-ის საზეიმო გახსნა 1925 წლის 2 აგვისტოს გაიმართა. იგი "მოლბიზე" მხოლოდ ოდნავ ძვირი იყო და ღამის გათევა 1,5-3 დოლარი ღირდა. ამის შემდეგ ჰილტონი ტეხასში წელიწადში ერთ სასტუმროს მაინც ხსნიდა.

წარმატებულმა ბიზნესმენმა თავისთვის მშვენიერი სახლიც აიშენა, ცოლი შეირთო და სამი შვილიც შეეძინა, მაგრამ ბედნიერება 1929 წლის საბირჟო კრახამდე გაგრძელდა, როცა ამერიკის სასტუმროების 80 პროცენტი გაკოტრდა. კონრადი ბოლომდე იბრძოდა, რვიდან სამი სასტუმრო დახურა, თავის სამფლობელოში უმკაცრესი ეკონომია შემოიღო, მაგრამ არაფერი შველოდა.

1930 წელს ჰილტონმა თავისი სასტუმროების აქტივის გარანტიით ცნობილი მუდების ოჯახის კონგლომერატისაგან 300 ათასი დოლარის ოდენობის კრედიტი აიღო. მაგრამ კრიზისი გაგრძელდა და 1931 წლის დეკემბერში კონრადი თავის კომპანია Hilton Hotels-ზე უფლებას გამოეთხოვა. ეს სრული კრახი იყო.

### მეორედ დაბადება

აღსანიშავია, რომ ეგზომ მძიმე მდგომარეობიდან ჰილტონი იმავე დიდმა დეპრესიამ იხსნა, რომელმაც გააკოტრა. იმ პერიოდში სასტუმროები შემოსავლიან ბიზნესს არ მიეკუთვნებოდა და მუდების ოჯახს წარმოდგენა არ ჰქონდა, რვა წამგებიანი სასტუმროსათვის რა მოეხერხებინა. ამიტომაც, ახალმა მფლობელებმა Hilton Hotels-ის თანდათანობით გამოსყიდვა თავად კონრადს შესთავაზეს. 1934 წლისათვის ჰილტონმა უკან სამი სასტუმრო დაიბრუნა და ბიზნესის გასავითარებლად კვლავ კრედიტი აიღო. თანაც, ცოლს გაშორდა. ალბათ, დამოუკიდებლობა რომ სრული ყოფილიყო, იმიტომ.

აქედან მოყოლებული, გამოცდილებით აღვსილი ჰილტონი თავისი მსოფლიო იმპერიის, რომელზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდა, შენებას შეუდგა. შთანთქმის ტაქტიკა არ შეცვლილა, უბრალოდ, ჰილტონი აქცენტს უფრო მსხვილ სასტუმროებზე აკეთებდა. თხუთმეტი წლის განმავლობაში იგი გამუდმებით ყიდულობდა და აშენებდა სასტუმროებს.

მთავარი ცვლილებები თავად სასტუმროებში ხორციელდებოდა. კერძოდ, ჰილტონმა თავის კომპანიაში მომსახურების სტანდარტიზაცია დაამკვიდრა, სარეკლამო კამპანია განახორციელა და სასტუმროების კლასი ვარსკვლავებით ისტორიაში პირველმა შეაფასა. ჰილტონის კიდევ ერთი მიგნება კლიენტურის აზრის კვლევა და მათი შენიშვნების შეძლებისდაგვარად გათვალისწინება გახლდათ. კონრადის სასტუმროების ყველა ნომერი ტელეფონით და კონდიციონერით აღიჭურვა, რაც სასტუმროების ბიზნესში იქამდე არ მომხდარა.

უშრეტი ენერგიისათვის ჰილტონს "აღტაცებული საქმოსანი" შეარქვეს. როგორც წესი, იგი თავად აკვირდებოდა შესასყიდ სასტუმროს, უთვალთვალებდა, რამდენი კლიენტი ჰყავდა მას და რამდენი გამოდიოდა გაღიმებული.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კომპანიის ბრუნვა იმდენად გაიზარდა, რომ 1949 წელს ჰილტონმა თავისი დიდი ხნის ოცნება აისრულა და ნიუ იორკის ყველაზე ფეშენებელური სასტუმრო Waldorf-Astoria შეიძინა. ამავე წელს გახსნა პირველი სასტუმრო აშშ-ს ფარგლებს გარეთ. ეს გახლდათ 300-ოთახიანი Caribe Hilton-ი პუერტო რიკოში. 1954 წელს კი კონრადმა თავისი მთავარი კონკურენტი, სასტუმროების ქსელი Statler Hotels-ი 111 მილიონ დოლარად შეიძინა. იმ დროისათვის ეს გარიგება აშშ-ს უძრავი ქონებით ვაჭრობის ისტორიაში უმსხვილესი გახლდათ.

60-იანი წლების დასაწყისში Hilton-ი მსოფლიოში სასტუმროების ყველაზე განვითარებული ქსელი გახდა და შეუფერხებლად ვითარდებოდა. 60-იანი წლების ბოლოს კონრადს ამერიკაში 40 და მის ფარგლებს გარეთ თითქმის ამდენივე სასტუმრო ჰქონდა. Hilton-ი უკვე ლონდონის, რომის და ევროპის სხვა დიდი ქალაქების შემადგენელი ნაწილი გახდა.

თავად ჰილტონი საქმეს 1966 წელს, 78 წლის ასაკში ჩამოშორდა და კომპანია შვილს, ბარონს გადააბარა. პენსიონერი მულტიმილიონერი მაინც ვერ ისვენებდა, ლექციებს კითხულობდა, ავტობიოგრაფია დაწერა, ხოლო, 1976 წელს, გარდაცვალებამდე 3 წლით ადრე 88 წლის მოხუცი მესამედ დაქორწინდა. აღსანიშნავია, რომ მან მთელი თავისი ქონება საქველმოქმედო ფონდ Hilton Foundation-ს უანდერძა. ბარონს შემდეგი ცხრა წელი დასჭირდა, რომ მამის უკანასკნელი სურვილი გაესაჩივრებინა და ჰილტონის იმპერია კვლავ ოჯახისათვის შეენარჩუნებინა.

### Hilton-ი ჰილტონის შემდეგ

ბარონ ჰილტონი მამა-დამაარსებლის იდეათა მიმდევარი გახლდათ და ბიზნესის გაფართოება და სრულყოფა გააგრძელა. ამ პერიოდში განხორციელდა სასტუმროების და კაზინოების შერწყმის თამამი იდეა, რომელიც კონრად ჰილტონს თავში ბევრად ადრე მოუვიდა. ამ მიმართულებით განვითარება 1987 წელს სათამაშო ბიზნესის ბრიტანულ გიგანტთან Ladbroke Group-თან შერწყმით დაგვირგვინდა.

1973 წელს მსოფლიოს სასტუმროების ბიზნესში პირველმა Hilton Hotels-მა შემოიღო საკუთარი საინფორმაციო სისტემა. ამას მოჰყვა ყველა ნომრის პროგრამირებადი მაღვიძარათი და ავტომატური საკეტებით აღჭურვა.

შემდეგი ნაბიჯი ბიზნესის ამ სექტორში პირველად ფრენჩაიზინგით მომსახურების სისტემის დანერგვა გახლდათ. ამ მიზნით შეიქმნა შვილობილი კომპანია Hilton Inns. Co. აღსანიშნავია, რომ ეს სისტემა მისმა კონკურენტებმა მიიღეს და დღეისათვის Hilton Hotels-ი ფრენჩაიზინგის მოლაპარაკებით 2000-მდე სასტუმროსთან მუშაობს.

კიდევ ერთი სიახლე მუდმივი კლიენტებისათვის ფასდაკლების პროგრამის დანერგვა გახლდათ. შემდეგ კი სასტუმროების ბიზნესში რევოლუცია საერთონაციონალური საკლუბო საკურორტო დასვენების სისტემამ მოახდინა.

1985 წლიდან Hilton Hotels Company-მ დანერგა ინტერნეტით ნომრების დაჯავშნის სერვისი. კიდევ ცოტა ხანში კი კომპანია American Express-ის დახმარებით შექმნა საკუთარი საკრედიტო ბარათების სისტემა Hilton Optima.

ყოველივე ზემოთთქმულის გამო Hilton Hotels Company-იმ განვითარება გიგანტური ნაბიჯებით გააგრძელა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი დღეს მსოფლიოს სასტუმროების ბიზნესის ლიდერი და ერთ-ერთი უმდიდრესი კომპანიაა.

## ვალუტა

**თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე**
**26 ოქტომბრის მონაცემებით 1 აშშ დოლარი 1,7390 ლარი ღირს**

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 26 ოქტომბერს მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომერციულმა ბანკმა (სამმა გამყიდველის და ერთმა მყიდველის სტატუსით) და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (მყიდველის სტატუსით).

დაიდო ოთხი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 1 800 000 აშშ დოლარი შეადგინა. დღევანდელ საბირჟო სესიაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1 500 000 აშშ დოლარი შეისყიდა.

საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.7400 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნამ 300 000 აშშ დოლარი, ხოლო მიწოდებამ 2 050 000 აშშ დოლარი შეადგინა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდა შემდეგი კურსით - 1 აშშ დოლარი/1.7390 ლარი.

27 ოქტომბრიდან ძალაში შევა აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი/1.7390 ლარი.

## ფინანსური სამყარო

**ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე და ა.შ.შ.-ის საფონდო ბაზარზე**
**25 ოქტომბრის სავაჭრო სესიის შედეგები**

25 ოქტომბრის საფონდო ვაჭრობები ა.შ.შ.-ში წამყვანი ინდექსების გაზრდით დასრულდა.

ბაზრის მონაწილეებმა ოპტიმისტურად აღიქვეს ფედერალური სარეზერვო სისტემის (ფსს) გუშინდელი სხდომის გადაწყვეტილება, საბაზისო საპროცენტო განაკვეთის შეუცვლელად დატოვების შესახებ. ამერიკაში საბაზისო განაკვეთის მაჩვენებელი 5,25% -ის დონეზე შენარჩუნდა. ფსს-ს ეს გადაწყვეტილება ანალიტიკოსთა პროგნოზებს ბოლომდე დაემთხვა, რამაც ა.შ.შ.-ს საფონდო ინდექსების ზრდას ხელი შეუწყო.

ინდექსი **Dow Jones** გაიზარდა 6,80 პუნქტით **(+0,06%)** და დაფიქსირდა 12134,68 ნიშნულზე;

ინდექსი **Nasdaq** გაიზარდა 11,75 პუნქტით **(+0,5%)** 2356,59 პუნქტამდე;

ინდექსი **S&P** გაიზარდა 4,84 პუნქტით**(+0,35%)** 1382,22 ნიშნულამდე.

**ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე (NYSE)**
**უმსხვილესი კომპანიების კოტირებების მაქსიმალური ცვლილებები**
**25 ოქტომბრის შედეგების მიხედვით:**

**საფონდო ანალიზი:25 ოქტომბრის საფონდო ვაჭრობები ა.შ.შ.-ში წამყვანი ინდექსების გაზრდით დასრულდა.**

25 ოქტომბრის საფონდო ვაჭრობები ა.შ.შ.-ში წამყვანი ინდექსების გაზრდით დასრულდა.

**ფსს-ს საფონდო სტიმული**

ბაზრის მონაწილეებმა ოპტიმისტურად აღიქვეს ფედერალური სარეზერვო სისტემის (ფსს) გუშინდელი სხდომის გადაწყვეტილება, საბაზისო საპროცენტო განაკვეთის შეუცვლელად დატოვების შესახებ. ამერიკაში საბაზისო განაკვეთის მაჩვენებელი 5,25% -ის დონეზე შენარჩუნდა. ფსს-ს ეს გადაწყვეტილება ანალიტიკოსთა პროგნოზებს ბოლომდე დაემთხვა. შეგახსენებთ, რომ 2006 წლის სექტემბერშიც ამერიკის ფსს-მ სააღრიცხვო ნორმა (საბაზისო განაკვეთი) უცვლელი დატოვა. გუშინდელ სხდომაზე ფსს-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დღეისათვის ა.შ.შ.-ში ეკონომიკური ზრდის ტემპი და ინფლაცია სტაბილურ ჩარჩოებში მოძრაობს, თუმცა სამომავლოდ ინფლაციისა გაზრდის რისკი მაინც ნარჩუნდება.

**სანავთობო სექტორი**

წამყვანი ინდექსების ზრდას ხელი სანავთობო ბაზრის სიახლეებმაც შეუწყო. გუშინ გავრცელებულმა ცნობამ იმის შესახებ რომ ა.შ.შ.-ში სანავთობო ყოველკვირეული რეზერვები, ივლისიდან მოყოლებული, კლების ტენდენციით ხასიათდება, ა.შ.შ-ს ბაზარზე 25 ოქტომბერს ნავთობზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია.

წამყვან სანავთობო ბირჟებზე უახლოესი თვის სანავთობო ფიუჩერსების ფასებმა შეადგინა: **Brent - 62,05 (+2,19) დოლარ./ბარელ.; Light Sweet - 61,40 (+2,05) დოლარ./ბარელ.**

შედეგად, საფონდო ბაზარზე სანავთობო კომპანიების აქციების კურსი შესამჩნევად გაიზარდა. ამ სექტორში ზრდის ლიდერი ნავთობმომპოვებელი კომპანიის **ConocoPhillips-ის** ფასიანი ქაღალდები გახდა. ეს კომპანია ა.შ.შ.-ში სიდიდით მესამე ნავთობმომპოვებელია. მისი აქციები გუშინდელ სავაჭრო სესიაზე **2% -ით გაძვირდა** და ერთი აქციის ღირებულებამ 62,64 დოლარი შეადგინა.

**მაღალტექნოლოგიური სექტორი**

დღე იღბლიანად დასრულდა მაღალტექნოლოგიური სექტორის კომპანიებისათვისაც. ასე მაგალითად, მსოფლიოში უმსხვილესი ინტერნეტ-მაღაზიის **Amazon.com Inc.-ის კოტირება 12% -ით (!) გაიზარდა** და მისი ერთი აქციის ღირებულება 37,68 დოლარს გაუტოლდა. ინვეტორებმა ოპტიმისტურად აღიქვეს Amazon.com Inc.-ის ფინანსური ანგარიში. ამ კომპანიის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად ფირმის წმინდა მოგებამ ივლის -სექტემბრის პერიოდში 19 მლნ დოლარი შეადგინა, რაც ერთ აქციაზე გადაანგარიშებით 7 ცენტს შეადგინს, ნაცვლად ნავარაუდევი 3 ცენტისა. მნიშვნელოვნად გაიზარდა და ექსპერტთა პროგნოზებს გადააჭარბა კომპანიის ამონაგების მაჩვენებელმაც. ყოველივე ამან კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გუშინ Amazon.com Inc.-ის საფონდო კოტირების არნახული ზრდა გამოიწვია.

მიკროსქემების მოწყობილობათა ა.შ.შ.-ში სიდიდით მეორე მწარმოებელი კომპანიის **KLA-Tencor Corp.-ის** ფასიანი ქაღალდები გუშინ **8,4%-ით გაიზარდა** (49,59 დოლარ./აქცია.-მდე). ამ კომპანიის ფინანსურმა ანგარიშმაც ანალიტიკოსთა პროგნოზებს გადააჭარბა.

**სხვადასხვა**

ჰოლდინგური კომპანიის **Altria Group Inc**.-ის **აქციები 2,9% -ით გაძვირდა**( 82,10 დოლარ./აქცია.-მდე). დამაიმედებელი ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნების შედეგად კომპანიების **Norfolk Southern**(ა.შ.შ.-ში სიდიდით მეოთხე სარკინიგზო კომპანია) და **Colgate-Palmolive** (კბილის პასტების მსოფლიოში უდიდესი მწარმოებელი) აქციების ფასი შესაბამისად **10,1% -ით და 2,8% -ით გაიზარდა.**

**25 ოქტომბრის შედეგი:** ინდექსი **Dow Jones** გაიზარდა 6,80 პუნქტით **(+0,06%)** და დაფიქსირდა 12134,68 ნიშნულზე; ინდექსი **Nasdaq** გაიზარდა 11,75 პუნქტით **(+0,5%)** 2356,59 პუნქტამდე; ინდექსი **S&P** გაიზარდა 4,84 პუნქტით**(+0,35%)** 1382,22 ნიშნულამდე.

**საფონდო მიმოხილვა: ევროპის ბაზარი 25 ოქტომბერს**

25 ოქტომბრის საფონდო ვაჭრობები ევროპაში მთავარი ინდექსების გაზრდით დასრულდა. ინვესტორთა ყურადღება გამოქვეყნებულმა კორპორატიულმა ანგარიშებმა მიიპყრო.

**საავტომობილო ინდუსტრია**

გერმანული საავტომობილო კონცერნის DaimlerChrysler Group-ის ფინანსური ანგარიშის თანახმად 2006 წლის 9 თვეში კომპანიის წმინდა მოგება 41%-ით გაიზარდა და 3,36 მლრდ დოლარი შეადგინა, ხოლო ამონაგები სააღრიცხვო პერიოდში 2% - ით გაიზარდა 140,73 მლრდ დოლარამდე. შედეგად DaimlerChrysler-ის აქციები 4%-ით გაზარდა.(DaimlerChrysler-ი მსოფლიოში სიდიდით მეხუთე ავტომწარმოებელი კომპანიაა).

**ელექტროტექნიკა**

კორპორატიული ანგარიში საყოფაცხოვრებო ტექნიკის შვედურმა მწარმოებელმაც Electrolux AB გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც კომპანიის წმინდა მოგება 2006 წლის III კვარტალში თითქმის სამჯერ გაიზარდა 48 მლნ ევრომდე, ამონაგები გაიზარდა 0,5%-ით 2,84 მლრდ ევრომდე. შედეგად, Electrolux-ის აქციები 7%-ით გაძვირდა.

**ფოლადის წარმოება და სამთომოპოვება**

გაიზარდა ფოლადის მწარმოებელი და სამთომომპოვებელი კომპანიების კოტირებებიც. რისი მიზეზიც აზიაში ლითონზე მოთხოვნის ზრდა გახდა.




# ვინ ამოწმებს თამბაქოს ხარისხს?

პირველი გვერდიდან

არადა, თამბაქოს კონტროლის ალიანსის ხელმძღვანელის გიორგი ბახტურიძის მტკიცებით, თამბაქოს ნაწარმში ნიკოტინის, კუპრის, ნახშირორჟანგისა და სხვა მავნე ნივთიერებების შემცველობის მონიტორინგი სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოქმედი კანონმდებლობით ევალება. გიორგი ბახტურიძე "სურსათისა და თამბაქოს შესახებ კანონს" და საქართველოს მთავრობის 2001 წლის 16 აგვისტოს №310 ბრძანებას იშველიებს, სადაც, მისივე მტკიცებით, ცალსახად არის ნათქვამი, რომ თამბაქოს ნაწარმში - როგორც ადგილობრივ, ასევე იმპორტირებულში - მავნე ნივთიერებების შემცველობის ნორმები სწორედ ხსენებულმა სახელმწიფო უწყებამ უნდა აკონტროლს და არა საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტმა. იმ შემთხვევაში, თუკი თამბაქოს ნაწარმში მავნე ნივთიერებები კანონით დასაშვებზე მეტი აღმოჩნდება, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სპეციალურ სტრუქტურებს ოპერატიულად რეაგირება ევალება. "ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ ასრულებს კანონით მასზე დაკისრებულ ფუნქციას, გვაძლევს სერიოზული ეჭვის საბაბს, რომ სამინისტროს ცალკეული ჩინოვნიკები ჩართულნი არიან თამბაქოს ინდუსტრიაში და მის გარკვეულ სფეროს ლობირებენ," - განაცხადა გიორგი ბახტურიძემ გუშინ ჟურნალისტებისთვის გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე.

თამბაქოს კონტროლის ალიანსის ხელთ არსებული ინფორმაციით, დღეს ბაზარზე არსებულ თამბაქოს ნაწარმში, როგორც ადგილობრივი წარმოების, ასევე იმპორტირებულში, მავნე ნივთიერებების, მათ შორის, კუპრისა და ნიკოტინის შემცველობა კანონით განსაზღვრულ ნორმებსა და ზღვრებს არ შეესაბამება.

თამბაქოს კონტროლის ალიანსმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს ბაზარზე არსებული ყველანაირი თამბაქოს სისტემატური შემოწმებისკენ მოუწოდა. "მოვითხოვთ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მომხმარებელთა უფლებებისა და ჯანმრთელობის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, დაუყოვნებლივ განახორციელოს სახელმწიფო ფუნქცია, სისტემატურად მოახდინოს ადგილობრივი და იმპორტირებული თამბაქოს ხარისხის კონტროლი და მოგვაწოდოს იგი საზოგადოების შემდგომი ინფორმირების მიზნით," - ნათქვამია თამბაქოს კონტროლის ალიანსის მიერ გუშინ გავრცელებულ პრესრელიზში.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს თამბაქოს კონტროლის ალიანსმა რამდენიმე შემაშფოთებელი სტატისტიკური მაჩვენებელი გაავრცელა. კერძოდ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის უკანასკნელი მონაცემებით, თამბაქოს მოხმარების შედეგად წელიწადში დაახლოებით 5 მილიონი ადამიანი იღუპება. საქართველოში ეს მონაცემები 11 ათას ადამიანს აღწევს, საიდანაც 2500, ალიანსის ინფორმაციით, პასიურ მწეველთა კატეგორიას განეკუთვნება.

იმავე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პროგნოზს თუ ვენდობით, იმ შემთხვევაში, თუკი დღეს არსებული ტენდენცია გაგრძელდება, 2025 წლისთვის თამბაქოს მოხმარებისგან წელიწადში 10 მილიონი კაცი დაიღუპება.

## "ბორჯომი" კორეელი გოლფისტების სასმელი გახდება

კომპანია GG&MW აქცენტს აღმოსავლურ, კერძოდ კი, სამხრეთ კორეულ ბაზარზე აკეთებს. კომპანიის წარმომადგენლის, სერგეი რიბაკის განცხადებით, GG&MW დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ქვეყანაში და, საერთოდ, აზიაში პოზიციების გამყარებას. როგორც ცნობილი გახდა, სამხრეთ კორეულ ბაზარზე "ბორჯომის" პოპულარიზაციისათვის GG&MW გოლფის ტურნირს დაასპონსორებს და საიტს კორეულ ენაზე გახსნის.

## ჩინეთი Airbus 320-ის 150 თვითმფრინავს ყიდულობს

ევროპული აეროკოსმიური კორპორაცია Airbus-ი ჩინეთში ქარხანას ააშენებს, სადაც, ყველაზე მცირე, 150 მაგისტრალური ლაინერი A320 აიწყობა. პირველი თვითმფრინავი უკვე 2009 წლისთვის იქნება მზად, რის შემდეგაც ჩინეთი თვეში 4 აერობუსს გამოუშვებს. ამ გარიგების ფარგლებში ჩინეთს 20 ფართოფუზელაჟიანი A350-ის შესყიდვაც შეუძლია. საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის ჩინეთში ვიზიტისას მიღწეული შეთანხმება Airbus-ს საშუალებას მისცემს, მოწინავე პოზიციები დაიკავოს ჩინეთის პერსპექტიულ ბაზარზე.

შირაკის ჩინეთში ვიზიტისას ათზე მეტი მსხვილი საქმიანი შეთანხმება დაიდო. ხუთშაბათს ხელი მოეწერა კონტრაქტს ჩინეთსა და ფრანგულ კომპანია Alstom-ს შორის 500 სატვირთო ლოკომოტივის მიწოდების შესახებ. გარიგების ღირებულება 1,5 მლრდ დოლარია. პირველი 110 ლოკომოტივი "ალსტომის" ფრანგულ ქარხანაში აიწყობა, რის შემდეგაც წარმოება ჩინეთში გადაინაცვლებს.

## კლება აშშ-ს ბირჟაზე




გუშინ აშშ-ს საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. მართალია, ინვესტორთა შეშფოთება არ გამართლდა და ფედერალურმა სარეზერვო ფონდმა ძირითადი საპროცენტო განაკვეთის გაზრდის გადაწყვეტილება არ მიიღო და იგი კვლავ, ზედიზედ მესამედ 5,25 პროცენტის დონემდე დატოვა, მათ განწყობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა არადამაიმედებელმა მაკროეკონომიკურმა სიტუაციამ, კერძოდ, ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელებამ და ინფლაციამ. გარდა ამისა, გავლენა მოახდინა ნავთობის ფასის მომატებამაც.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,21 პროცენტით, 12.109,15 პუნქტამდე შემცირდა. 0,26 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.350,52 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,11 პროცენტით, 1.380,73 პუნქტამდე მოიკლო.

# თბილისში პირველი საზოგადოებრივი ცენტრი "ქარვასლა" აშენდება

თინა შავაძე



თითქმის ერთი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში "ქარვასლას" ტიპის სავაჭრო ცენტრი არ აშენებულა. ქართულ ფილმ "ქეთო და კოტედან" ცნობილი ფრაზის "იყიდე, გაყიდე -რა, ქარვასლაა?" გაცოცხლების იდეა ცნობილ კომპანიებს - "არსი" და "სტუდია ჩემი სახლი" - ეკუთვნის". მათგან პირველს სამშენებლო საქმეში კარგი გამოცდილება განსაკუთრებული არქიტექტურისა და დიზაინის სახლების მშენებლობაში აქვს, მეორეს კი - სავაჭრო ცენტრების (მაგალითად, "პასაჟი") მართვაში. ამ ორმა ბიზნესჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოში პირველად ევროპული ტიპის შოპინგცენტრი ააშენოს, სადაც ყველაფრის ყიდვა, გართობა და დასვენებაც შეიძლება. საზოგადოებრივ ცენტრ "ქარვასლას" ბევრი მესაკუთრე ეყოლება, რადგან შენობის ფართი 20 კვადრატული მეტრიდან გაიყიდება და მისი ფართი ქირით არ გაიცემა.

იდეის პრაქტიკული განხორციელების შესახებ იურიდიული შეთანხმება უკვე არსებობს. გუშინ "არსის გალერეაში" კომპანია "არსსა" და შპს "სტუდია ჩემს სახლს" შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. კომპანიებმა, შეთანხმების თანახმად, ერთობლივი კომპანია "ქარვასლა" დააფუძნეს, რომელიც ნაძალადევში ამავე სახელწოდების სავაჭრო ცენტრს ააშენებს.

"24 საათთან" საუბარში კომპანია "არსის" გენერალური დირექტორი გია აბულაძე ამბობს: "შენობას "ქარვასლისთვის" დამახასიათებელი ტრადიციული არქიტექტურის გათვალისწინებითა და თანამედროვე არქიტექტურული ელემენტების გამოყენებით ავაშენებთ. ცენტრის მიმართ ინტერესი იმდენად დიდია, რომ უკვე სამმა ადამიანმა დამირეკა. ვფიქრობ, ფართის ყიდვა მოსწრებაზე იქნება. ერთი კვადრატული მეტრის ფასი საბაზრო ღირებულებით განისაზღვრება და დაახლოებით 2 ათასი დოლარი იქნება. ამ თანხაში ფართის დამკვეთი ობიექტს ჩაიბარებს ისეთ მდგომარეობაში, სადაც კომერციული საქმიანობის დაწყება მაშინვე შეეძლება."

მომავალი ორი წლის განმავლობაში თბილისში, ც.დადიანის ქუჩაზე ცენტრალური სადგურის ახლოს პირველი სავაჭრო ცენტრი აშენდება. ობიექტის საერთო კომერციული ფართი იქნება დაახლოებით 15 ათასი კვადრატული მეტრი. 6-სართულიან შენობას ექნება 6 დამოუკიდებელი ლიფტი, ესკალატორები, მიწისქვეშა ავტოსადგომით 300 მანქანისთვის და ერთიანი გათბობისა და ვენტილაციის სისტემა. ცენტრში განთავსდება: კომერციული და სავაჭრო დანიშნულების ობიექტები; რესტორნები და კაფეები; სამედიცინო ცენტრი; ბავშვთა ოთახი, კინოთეატრი, საყოფაცხოვრებო მომსახურება და ობიექტები. კომერციული ფართი გადანაწილდება ზონირების პრინციპით. თითოეულ ზონაში განთავსდება განსაზღვრული ასორტიმენტის მქონე სავაჭრო ობიექტები. კომერციული ფართის მინიმალური მოცულობა რეალიზაციისთვის იქნება 20 კვადრატული მეტრიდან.

საზოგადოებრივი ცენტრის "ქარვასლას" მშენებლობა დაიწყება 2006 წელს და დასრულდება 2008 წლის დეკემბერში. კომპანია "არსის" და შპს "სტუდია ჩემი სახლის" მიერ დაფუძნებული კომპანია "ქარვასლა" მოახდენს დაახლოებით 35 მლნ დოლარის ინვესტირებას მშენებლობაში. ცენტრის ამოქმედება უბნის ურბანული და სოციალური განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ც.დადიანის ქუჩა კაპიტალის ჩასადებად მიმზიდველი და უბანიც პრესტიჟული გახდება.

## ამერიკულმა სასამართლომ აქციონერების სარჩელი არ დააკმაყოფილა

მანჰეტენის ფედერალურმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა "იუკოსის" უცხოელი, მინორიტარული აქციონერების სარჩელი. ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ კომპანიის ხელმძღვანელობა მათგან იმ რისკების შესახებ ინფორმაციის დაფარვას ცდილობდა, რომლებიც იუკოსის მიერ არალეგალური საგადასახადო სქემების გამოყენების შედეგად წარმოიშვა, ხოლო კომპანიის ხელმძღვანელობა კი პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაება.

საგადასახადო პრეტენზიების დარეგულირების პროცესში "იუკოსმა" თავისი მთავარი მომპოვებელი კომპანია "Юганскнефтегаз"-ი დაკარგა, შემდეგ კი გაკოტრდა. ამ მომენტისათვის "იუკოსის" კრედიტორული დავალიანება 22 მლრდ დოლარია. კომპანიის ყოფილი პრეზიდენტი მიხაილ ხოდორკოვსკი კი რვაწლიან სასჯელს იხდის ციხეში.

## ნავთობის ფასი 61 დოლარი/ბარელს ასცდა

გუშინ, ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა და ნავთობის ღირებულება 61 დოლარი/ბარელის ნიშნულს ასცდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 61,78 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 61,34 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

მნიშვნელოვნად მოიმატა ბუნებრივი აირის ფასმაც და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება. მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისას გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 7,693 დოლარი შეადგინა, რაც უკანასკნელი 12 კვირის განმავლობაში დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელია. ამის მიზეზი ზამთრის მოახლოებასთან ერთად

აღნიშნულ საწვავზე მოთხოვნილების ზრდა გახლდათ.

"შავი ოქროს" გაძვირება 1 ნოემბრიდან ოპეკის მიერ ნავთობის მოპოვების შემცირების მოახლოებამ განაპირობა. ამასთან, ბაზარზე გავლენა მოახდინა ნიგერიაში მიმდინარე მოვლენებმაც, სადაც აჯანყებულებმა კომპანია Royal Dutch/Shel-ის კუთვნილი სამი ნავთობის პლატფორმა დაიკავეს და ამ ობიექტებზე "შავი ოქროს" მოპოვება შეწყდა.

## ამინდი

| | 27/10 | 28/10 | 29/10 |
|---|---|---|---|
| კიევი | 18 | 18 | 21 |
| რიგა | 19 | 20 | 20 |
| ვილნიუსი | 18 | 20 | 20 |
| მოსკოვი | 17 | 14 | 15 |
| მინსკი | 20 | 20 | 20 |
| პარიზი | 20 | 21 | 20 |
| რომი | 25 | 26 | 26 |
| ლონდონი | 19 | 19 | 18 |
| მადრიდი | 26 | 23 | 24 |
| ბონი | 19 | 21 | 22 |
| ვარშავა | 20 | 22 | 21 |
| ათენი | 27 | 27 | 27 |
| ბერნი | 22 | 22 | 23 |
| ამსტერდამი | 17 | 17 | 17 |
| ოსლო | 18 | 16 | 17 |
| ანკარა | 25 | 23 | 24 |
| ვარნა | 22 | 23 | 22 |
| დელი | 41 | 41 | 41 |
| ტოკიო | 28 | 29 | 28 |
| კოპენჰაგენი | 17 | 15 | 14 |
| ბაქო | 23 | 23 | 27 |
| ერევანი | 28 | 30 | 27 |
| ასტანა | 11 | 13 | 17 |
| ჰელსინკი | 15 | 16 | 14 |
| დუბლინი | 15 | 15 | 12 |
| ლისაბონი | 25 | 23 | 22 |
| პრაღა | 21 | 21 | 21 |
| სოფია | 20 | 22 | 24 |
| ბუდაპეშტი | 25 | 26 | 23 |
| ბუხარესტი | 23 | 25 | 26 |

# ჩეხები ქართულ ბიზნესკლიმატს ეცნობიან

ლიკა ჯობაძე

*საქართველო ახალ ბიზნესმენთა დელეგაციას სტუმრობს. ქართული საინვესტიციო კლიმატის გასაცნობად ჩამოსული ჩეხური კომპანიები ქართულ ბიზნესგარემოს დადებითად აფასებენ. რამდენიმე ფინანსურ გარიგებას საფუძველი უკვე ჩაეყარა. ასე რომ, სულ მალე ქართულ ბაზარზე კიდევ ერთი ახალი ინვესტორი დაიმკვიდრებს ადგილს.*

გუშინ "ქორთიარდ მერიოტში" საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინიციატივით, ქართველი და ჩეხი ბიზნესმენების შეხვედრა შედგა.

ენერგეტიკის, სამრეწველო, საინვესტიციო, საბანკო და სამშენებლო სფეროების ჩეხი წარმომადგენლები საქართველოში საინვესტიციო ბიზნესკლიმატის გასაცნობად ჩამოვიდნენ.

დსთ-ს ქვეყნების სავაჭრო-სამრეწველო პალატის აღმასრულებელი დირექტორის ფრანტიშეკ მასოპუსტის განცხადებით, ქართველი და ჩეხი ბიზნესმენების შეხვედრას გაცნობითი ხასიათი ჰქონდა, რაც სამომავლოდ, ორ ქვეყანას შორის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების დასაწყისი გახდება. "აქამდე საქართველოზე მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა გვქონდა. დღეს კი ქართველ და ჩეხ ბიზნესმენთა შეხვედრა შედგა. ჩვენ გავეცნობით საქართველოში საინვესტიციო ბიზნესკლიმატს და დიდი იმედი მაქვს, რომ მომავალში მჭიდრო სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობებს დავამყარებთ."

ჩეხი და ქართველი ბიზნესმენები შეხვედრაზე ერთ ფინანსურ გარიგებასაც ჩაეყარა საფუძველი. ჩეხეთის საექსპორტო ბანკი კომპანია "ენერგო პროს" ქართული ენერგოობიექტების შესასყიდად დააფინანსებს. ამის შესახებ თავად ბანკის კორპორატიული ოფისის დირექტორმა ჟან სტოლარმა განაცხადა: "ჩვენ ჩეხეთსა და საქართველოს შორის პრივატიზაციისა და მოლაპარაკებების პირობები არ გვაინტერესებს და არც დეტალებში ვერევით, თუმცა მხარეებს შორის შთანხმების მიღწევის შემთხვევაში, საჭირო კრედიტის გამოყოფას აუცილებლად დავთანხმდებით. მინდა გითხრათ, რომ სესხი, რომელსაც ჩეხეთის საექსპორტო ბანკი გამოყოფს, ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული საინვესტიციო პროექტი იქნება."

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე კვირის წინ, ჩეხურ კომპანია "ენერგო პროსა" და საქართველოს ხელისუფლებას შორის ენერგოობიექტების საპრივატიზაციო შეთანხმების ჩაშლის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია. 2006 წლის 20 ივნისს "ენერგო პრომ" ორი სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისა და ექვსი ჰესის პრივატიზებაზე გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა. მას "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში", "აჭარის ენერგოკომპანიაში", "აწჰესში", "ძევრულჰესში", "ლაჯანურჰესში", "რიონჰესში", "შაორჰესსა" და "გუმათჰესების კასკადში" 312 მილიონ 350 ათასი დოლარი უნდა გადაეხადა. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ ჩეხურ "ენერგო პროსთან" ხელშეკრულების გაფორმების თარიღი რამდენჯერმე გადადო. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, მხარეებს შორის საბოლოო შეთანხმების მიღწევის გაჭიანურების მიზეზი, ჩეხური კომპანიის იურისტებთან ხელშეკრულების საბოლოო დეტალების დაზუსტება იყო.

ჩეხურმა კომპანიამ შესაძლოა, საქართველოს რკინიგზასთანაც ითანამშრომლოს. თბომავლის პარკის სარეაბილიტაციოდ, რომელიც ამჟამად სავალალო მდგომარეობაშია, საქართველოს რკინიგზამ კომპანია "Young Invest"-თან შესაძლოა ხელშეკრულება გააფორმოს. ამის შესახებ "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის მოადგილემ ნიკა აბუაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, "საქართველოს რკინიგზის" თბომავლების პარკის 80 პროცენტს სწორედ რომ ჩეხური წარმოების მანქანები შეადგენს. ასე რომ, ჩეხურ "Young Invest"-თან თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია. "დღეს საქართველოში თბომავლების სათადარიგო ნაწილების დიდი დეფიციტია. ამის გამო კი რკინიგზელები იძულებულნი არიან, დეტალები სავალალო მდგომარეობაში მყოფი თბომავლებიდან ნაკლებად დაზიანებულზე გადააწყონ. მდგომარეობა ძალიან მძიმეა. შემცირდა თბომავლების პარკი. 150 მანქანიდან მუშა მდგომარეობაში მხოლოდ 50 მანქანა დაგვრჩა. ასე რომ, ჩეხურ კომპანიასთან თანამშრომლობა "საქართველოს რკინიგზისთვის" ძალიან მნიშვნელოვანია."

"შკოდა პრაგას", "მაგნეტონის", "იანგ ინვესტის", "სინერის", ჩკდ პრაგა დიზის" და "ჩეხეთის საექსპორტო ბანკის" წარმომადგენლები საქართველოში 25 ოქტომბერს ჩეხეთის რესპუბლიკის სენატის თავმჯდომარის პრშემისლ ბობოტკას ვიზიტის ფარგლებში ჩამოფრინდნენ. ისინი საქართველოს ხვალ დატოვებენ.

## Nissan Motor-ის მოგება 31 პროცენტით გაიზარდა

კომპანია "ნისანმა", რომელსაც მეორე ადგილი უჭირავს იაპონელ ავტომეწარმეებს შორის, თავისი საქმიანობის ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით პერიოდის ანგარიში გამოაქვეყნა.

კომპანიის სუფთა კვარტალურმა მოგებამ 164,03 მლრდ იენი შეადგინა. ეს 31 პროცენტით მეტია, ვიდრე გასული წლის ანალოგიურ პერიოდში. მაგრამ, ადრინდელისგან განსხვავებით, ამ წელს კომპანიას არ ჩაუთვლია გასავალი შიდა სავალუტო ოპერაციებიდან. კომპანიის კვარტალური გაყიდვები 0,9 პროცენტით შემცირდა, 2,345 ტრლნ. იენიდან 2,324 ტრლნ. იენამდე. თუმცა "ნისანმა" მაინც არ შეცვალა პროგნოზები თავისი სუფთა მოგების და გაყიდვების შესახებ მთელი ფინანსური წლის განმავლობაში, რომელიც 2007 წლის 31 მარტს დასრულდება.

წლის პირველ ნახევარში, რომელიც ასევე 30 სექტემბერს დამთავრდა, "ნისანის" სუფთა მოგებამ 274, 18 მლრდ იენი შეადგინა. ეს გასული წლის მოგებაზე 19 პროცენტით მეტია. თუმცა მოგებამ ოპერაციებიდან, რომელიც კომპანიის ძირითადი სახეობის პროდუქციის მომგებიანობის ინდიკატორია, ანალოგიური შედარებისას 15 პროცენტით იკლო.

Nissan Motor Co.-ს გენერალური აღმასრულებელი დირექტორის კარლოს გოსნის თქმით, კომპანია ფინანსური წლის მეორე ნახევარში მაჩვენებლების გაუმჯობესებას რიგი ახალი მოდელების გამოშვებით იმედოვნებს.